№12(13) 29.03.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

**ნომერშია:**

„წვიმის კაცი“ — აირტონ სენა

მეორე გამარჯვება საათში 70 კილომეტრით

მე-3 გვერდი

შოთა ხაბარელი: „დღეს სუსტი ძიუდოისტები არ არიან“

მე-4 გვერდი

მიზანი ერთია



ინტერვიუ ბერდია გუგავასთან

მე-6 გვერდი

ლოთები ტრიბუნაზე

HONG KONG 7

შვიდკაცა ლუდის თანხლებით

მე-6 გვერდი

მათთვის, ვისაც სპორტი... არ აინტერესებს

იმედია, ახალი რუბრიკა „ფანჯარა“ თქვენც „სარბიელის“ ერთგულ მკითხველებად გაქცევთ

მე-8 გვერდი

**თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?**

# დიახ!



იწყება მორაგბეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ჯერჯერობით საქართველოს გუნდებიც ითამაშებენ. მათი შეხვედრების კალენდარს „სარბიელის“ მომდევნო ნომერში გაგაცნობთ.

## ყველა ასაკში თითო საგზური

მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირს, რომელსაც სოჭმა უმასპინძლა, ასე ვთქვათ, ორმაგი სტიმული ჰქონდა: გამარჯვებული უფლებას იღებდა თანატოლთა მსოფლიო პირველობაში მიეღო მონაწილეობა, მეორე ადგილზე გასული კი — ევროპის პირველობაში. საქართველოს მოჭადრაკეებმა ეს სანუკვარი საგზურები ყველა ასაკში მოიპოვეს. თბილისელებმა ნათია ჯანჯღავამ (20 წლამდე ასაკი) და ნინო ხურციძემ (16 წლამდე) პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო მათმა თანაქალაქელმა მაია ლომინეიშვილმა (14 წლამდე) და ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა (12 წლამდე) — მეორე ადგილები. ასე, რომ „უფროსები“ მსოფლიო, ხოლო უმცროსები — ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

## 610, 611, 612...

სერგეი ბუბკა 1991 წლამდე სულ 20 (ოცი!) მსოფლიო რეკორდის ავტორი გახლდათ. წლეულს კი მან კიდევ ოთხჯერ გააუმჯობესა საუკეთესო მაჩვენებელი, ამასთან, ბოლო სამი რეკორდი სულ რაღაც ათ დღეში დაამყარა: ჯერ სან-სებასტიანში 610 სმ სიმაღლე გადალახა, შემდეგ 611 (დონეცკი), და ორიოდე დღის წინათ, გრენობლში, უკვე 612 სმ სიმაღლე დაიმორჩილა!

გია ახალაძის ფოტო



## ქუთაისი, ლენინგრადი... იტალია

როგორც ბოლო სატელევიზიო „45 წუთიდან“ შევიტყვეთ იტალიაში იმყოფება ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი რევაზ ჭოხონელიძე. ბუნებრივია ინტერესი: რას საქმიანობს იგი აპენინის ნახევარკუნძულზე? ვისარგებლეთ რა შემთხვევით, ამ კითხვით მივმართეთ რევაზ ჭოხონელიძის მეგობარს ლევან ნოდიას.

— ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა რევაზ ჭოხონელიძემ სპორტული კარიერა ლენინგრადის „დინამოში“ დაასრულა. შემდეგ დაამთავრა მოსკოვის, მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა, საიდანაც სტაჟირებაზე მიავლინეს იტალიის ერთ-ერთ კლუბში. უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის წინ იგი იმყოფებოდა იტალიაში, სადაც საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის ვალერი ლობანოვსკისთვის აგროვებდა ინფორმაციას იქაურ კლუბებში მოთამაშე საბჭოთა ფეხბურთელების სპორტულ მზადყოფნაზე. ჩემპიონატის დღეებში ის ესწრებოდა საბჭოთა ნაკრების მომავალ მეტოქეთა შეხვედრებს. რევაზ ჭოხონელიძე დღესაც იტალიაშია და აწყობს საბჭოთა ნაკრებისა თუ საკლუბო გუნდების ამხანაგურ შეხვედრებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ცნობილი კლუბის „სამპდორიას“ პრეზიდენტთან, ამხანაგური შეხვედრების გამართვის თაობაზე, მაგრამ ფიფას შესაძლო მკაცრი სანქციების გამო ეს მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით ჩაიშალა.

## ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

III ტური

გურია — ალაზანი 1:0
გორდა — იბერია 2:2
ქუთაისი — მარგვეთი 1:0
კოლხეთი-13 — სულორი 2:2
ბათუმი — ამირანი 1:0
ოდიში — ივერია 4:1
მერცხალი — სამგურალი 2:1
ცხუმი — შევარდენი-06 2:1
დილა — მზიური 2:0
კოლხეთი — სანავარდო 0

ორთვიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ „გამოცოცხლდა“ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეათე სპარტაკიადა — კიევში ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრება დაიწყო. საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში მოუგო თურქმენეთისა (3:0) და სომხეთის (3:0) კოლექტივებს, დამარცხდა ლატვიელებთან (1:3) და ერთი წაგებით გავიდა ფინალში, რვა საუკეთესო გუნდს შორის. აქ მათ ორი შეხვედრა წააგეს, შესაბამისად — უკრაინელებთან და მოსკოველებთან (ორივე — 0:3).

## თასი სალონიკში დაბინავდება

გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების თასის ფინალური მატჩი ვაჟ კალათბურთელთა გუნდებს შორის საბერძნეთის ქალაქ სალონიკის პაოკ-მა დაამარცხა სარაგოსის კაი — 76:72.

შეხვედრას, რომელიც ძენევაში გაიმართა, 10 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. პირველი ტაიმი ესპანელი კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 36:31. ბერძნებმა, მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს უპირატესობის მოპოვება და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს. მათ შორის ყველაზე შედეგიანი იყო იუგოსლაველი პრელევიჩი (31 ქულა).

10 და 24 აპრილს გაიმართება ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების ნახევარფინალები. ერთმანეთს შეხვდებიან:



ჩემპიონთა თასი



თასების თასი



უეფა-ს თასი

| ჩემპიონთა თასი | თასების თასი | უეფა-ს თასი |
|---|---|---|
| „სპარტაკი“ — „მარსელი“ | „ლეგია“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ | „ბრონდბიუ“ — „რომა“ |
| „ბაიერნი“ — „ცრვენა ზვეზდა“ | „ბარსელონა“ — „იუვენტუსი“ | „სპორტინგი“ — „ინტერი“ |

## მე თუ მკითხავთ



ჩემი აზრით, ყველამ ერთად უნდა ვიკითხოთ — რა გვინდა, ვისთვის და რისთვის გვჭირდება სპორტი. თუ ჩვენი ცხოვრების წესის უპირატესობის, ანდა, საერთოდ, უპირატესობის დასამტკიცებლად, მაშინ კუბური, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ან საბჭოური მოდელი უნდა ავირჩიოთ აქედან გამომდინარე ყველა შედეგით — ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის სფეროებში.

თუ სპორტს შევხედავთ როგორც სანახაობას, ხელოვნებას, პროფესიას, სპორტსმენებს — როგორც არტისტებს, მსახიობებს, თავისი საქმის სპეციალისტებს, — მაშინ ამერიკული, ფრანგული, ინგლისური და ა.შ. მოდელი უნდა ვირჩიოთ. ცხადია, შესაბამისი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სისტემებით.

დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი, როცა ამისი დრო დადგება, პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც დემოკრატიულსა და თავისუფლების გზას აირჩევს. თუ ასე მოხდა, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართულმა სახელმწიფომ თავი უნდა ანებოს სპორტის ფინანსირებას. ცხადია, უცბად ამის გაკეთება დიდ ზიანს მიაყენებს ისედაც მოსუსტებულ ჩვენს სპორტს. ამიტომ თადარიგის დაჭერა აქედანვეა საჭირო. უნდა გახსნას კერძო კლუბები (ხაზს ვუსვამ — კერძო, და არა ცნობილი სპორტსმენების სახელობის კლუბები, როგორც ახლაა), სადაც კი საამისო სურვილი და საშუალება გაჩნდება. უნდა შევეშვათ იმის მცდელობას, რომ სპორტის ყველა სახეობა თანაბრად განვითარდეს. თუ საქართველოში არ აღმოჩნდება, ვთქვათ, № სახეობაში ვარჯიშისა და, რა თქმა უნდა, ამ ვარჯიშისთვის განსაზღვრული თანხის გადახდის მსურველი, ეს სახეობა უნდა გაქრეს.

ზემოთ სიტყვა გამონაკლისი ვახსენე. თუ რომელი სახეობის მიმართ უნდა დავუშვათ ეს გამონაკლისი, იოლი გადასაწყვეტია — ეს იქნება ჩვენში ყველაზე პოპულარული სახეობებიდან ისეთები, რომლებიც სახელმწიფო დოტაციის გარეშე ვერ იარსებებენ და ერთი ან ორი ეროვნული სახეობა.

იმათ, ვისაც მომავალი თაობის ჯანმრთელობის საკითხი აწუხებს, ასე ვუპასუხებდი — საბჭოთა სპორტი და ჯანმრთელობა ყოველთვის შორს იდგნენ და ახლაც შორს დგანან ერთმანეთისგან. აი, კერძო საწარმოები და ფირმები კი ნამდვილად არიან დაინტერესებული იმით, რომ ჯანმრთელი ჰყავდეს ყველა თანამშრომელი, რადგან მათი ავადმყოფობა გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე საცურაო აუზებისა და კორტების მშენებლობა.

ახლა საკითხზე, რომელზე ვრცლად სალაპარაკოდ, სამწუხაროდ, ცოტა ადგილია მრჩება. იმ უამრავ გაზეთს შორის, დღეს რომ გამოდის საქართველოში, „სარბიელი" და კიდევ ერთი ან ორი გაზეთი ახერხებს იმას, რასაც ნორმალურ ქვეყნებში ჟურნალისტიკას ეძახიან. საბედნიეროდ, ამ მოსაზრების დასაბუთება ძალზე იოლია.



## თითო ქულა

რუსთავში „ფოლადის" სტადიონის ალაგ-ალაგ ბალახიან მინდორზე გაიმართა მესამე ტურის ცენტრალური შეხვედრა „გორდასა" და „იბერიას" შორის. სტადიონთან დაკავშირებით კიდევ ორი ფაქტია აღსანიშნავი, ერთი ის, რომ ამ დღეს ტრიბუნები გულშემატკივრებმა თითქმის შეავსეს და მეორე ის, რომ ტაბლო არ მუშაობდა. რაც შეეხება თავად მატჩს, მეხუთე წუთზე, „გორდას" პირველივე მწვავე შეტევა თბილისელთა კარში გოლით დაგვირგვინდა. ბურთი, შორიდან დარტყმით, ავაქიანმა გაიტანა. წარმატებამ რუსთაველები წაახალისა და მათ ენერგიულად შეუტიეს „იბერიას" კარს, თუმცა შემდეგ თხუთმეტი წუთის განმავლობაში თამაში თანაბრად წარიმართა. 30-ე წუთზე რუსთაველებმა თავიანთ საჯარიმოზე უყურადღებოდ დატოვეს ინალიშვილი, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა. ათი წუთის შემდეგ თბილისელებმაც დაუშვეს დაცვაში შეცდომა. ფანცულაიას ზუსტმა და ლამაზმა დარტყმამ „გორდა" დააწინაურა — 2:1. ტაიმის ბოლო წუთები რუსთაველთა უპირატესობით წარიმართა. გოლის გატანის საშუალება ჰქონდა კაპანაძეს, მაგრამ მის მიერ ნახტომში თავით დარტყმული ბურთი მიზანს აცდა. მეორე ტაიმი ერთფეროვანი იყო. „იბერიას" გამუდმებულმა შეტევებმა, „გორდა" საკუთარ საჯარიმოსთან მიაჯაჭვა, მაგრამ რუსთაველთა ყველა ცდა თამაში მოედნის ცენტრში გადაეტანათ, ბურთის ძლიერი დარტყმით მოშორებას უფრო ჰგავდა.

თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე, მიქაშავიძემ „იბერიას" კინაღამ მესამე ბურთი გაუტანა. ერთი წუთის შემდეგ კი რუსთაველთა კარი ძელმა იხსნა, მაგრამ ბურთმა საჯარიმო მოედნის მიდამოებში იტრიალა და ინალიშვილის დარტყმის შემდეგ „გორდას" კარის ბადეში აღმოჩნდა.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი-13 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| გურია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ცხუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ოდიში | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| ბათუმი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| იბერია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| სულორი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| გორდა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სამგურალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სანავარდო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ამირანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| შევარდენი-06 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| მარგვეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ალაზანი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ქუთაისი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| მზიური | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| ივერია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## კიდევ დიდხანს

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ანატოლი მილჩენკო, რუსთავიდან სახლისაკენ, სოხუმს მიიჩქაროდა. „გორდასა" და „იბერიას" შორის მატჩის წინა დღეს მას ორმოცდაცამეტი წელი შეუსრულდა.

**— ბატონო ანატოლი, გილოცავთ დაბადების დღეს.**

— გმადლობთ. ორმოცდაცამეტი წელი ცოტა არ არის, მაგრამ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ათი წლის წინ. ვცდილობ სულ ფორმაში ვიყო. მე ახალგაზრდობა უნდა გავიხანგრძლივო, რადგან მინდა ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს კიდევ დიდხანს ვემსახურო.

**— როგორც მსაჯი, დღევანდელ თამაშზე რას იტყვით?**

— ასეთ მინდორზე მაღალი კლასის ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. მინდორმა ორივე გუნდს ხელი შეუშალა. თუნდაც თბილისელთა მიერ გატანილი მეორე გოლი ავიღოთ: ინალიშვილის დარტყმული ბურთი ამოვარდნილმა ბელტმა აისხლიტა, მოხვდა ძელს, შემდეგ მეკარის ზურგს და ისე გავიდა კარში.

**— პირველ ტაიმში რუსთაველი მიქაშავიძე წაიქცა თბილისელთა საჯარიმოზე—**

— იქვე ვიდექი... მიქაშავიძე მცველს ტანით აწვებოდა, მცველი გაიწია და ისიც ინერციით წაიქცა. წესი არ დარღვეულა.

**— სხვა რას იტყოდით თამაშზე?**

— რუსთაველთა ჯიქურ თამაშს, თბილისელთა გამოცდილება დაუპირისპირდა. ვფიქრობ, რომ მწვრთნელის დავალებას „იბერია" უფრო ზუსტად ასრულებდა. ფეხბურთელებიდან მომეწონა ქეცბაია, ინალიშვილი. ფანცულაიას გოლი კი მსოფლიო ჩემპიონატსაც დაამშვენებდა.

## ყურადღება: უყურადღებობა

ორი მატჩის შემდეგ არც ერთი ქულა, ბურთების სხვაობა 0-6. ასეთი „მარაგით" შეხვდა საფეხბურთო კლუბი ქუთაისი მესამე ტურს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა პირველ შეხვედრაში ონამჩირის „ამირანს" სძლია (2:0), ხოლო მეორე შეხვედრა ვანის „სულორთან" ფრედ დაამთავრა (1:1). მიზეზი: ქუთაისელებმა ორივე მატჩში დაარღვიეს დებულება, შეცვალეს სამი მინდვრის მოთამაშე- (დებულების მიხედვით გუნდს უფლება აქვს შეცვალოს ორი მინდვრის მოთამაშე და მეკარე). ამ ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, დავით კვინიკაძეს.

**— ბატონო დავით, მეტისმეტად მკაცრად ხომ არ დაისაჯა საფეხბურთო კლუბი „ქუთაისი"?**

— სასჯელის გამოტანისას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ხელმძღვანელობდა 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის დებულებით, რომლის მიხედვითაც ასეთი დარღვევისთვის ერთადერთი სასჯელია მატჩის შედეგის გაუქმება და მოწინააღმდეგისთვის გამარჯვების მიკუთვნება ანგარიშით 3:0.

**— გუნდის გარდა ვინ დაისაჯა?**

— ამ ორი შეხვედრის მსაჯებს ერთი თვით აეკრძალათ უმაღლესი და პირველი ჯგუფის მატჩების მსაჯობა. მსაჯ-ინსპექტორებს საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის აეკრძალათ თავიანთი ფუნქციების შესრულება პირველ მაისამდე. შეხვედრათა ოქმების ზერელე წარმოებისათვის, ფედერაციის ერთ თანამშრომელს რომელიც კურირებს უმაღლეს ჯგუფს, ბრძანებით გამოვუცხადეთ საყვედური. ასევე საყვედური გამოვუცხადეთ ფედერაციის მსაჯთა და მსაჯ-ინსპექტორთა განყოფილების თანამშრომლებს. ისინი ვალდებულნი იყვნენ მსაჯებისათვის სრულყოფილად აეხსნათ დებულების ყველა პუნქტი.

**— კიდევ რა დარღვევებია განვლილ მატჩებში?**

— თელავში, ადგილობრივ „კახეთსა" და დუშეთის „არაგვს" შორის შეხვედრის დამთავრების შემდეგ, გასახდელში ერთმა ვაიგულშემატკივარმა მსაჯს ხელი გაარტყა, რისთვისაც თელავის სტადიონი ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულია, გუნდი კი 10 000 მანეთით დაჯარიმდა. სხვაგან ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, რასაც ხელი შეუწყო მოედნების შემოღობვამ და ტრიბუნებისგან მათმა იზოლაციამ. იმ სტადიონებს, სადაც შემოღობვა ჯერ არ დამთავრებულა, ვადა ოც აპრილამდე მივეცით. წინააღმდეგ შემთხვევაში იქ თამაშები არ გაიმართება.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი.



## მამა მია თუ ვაი დედა

ქართული აქცენტით „შესრულებული" ამ იტალიური შეძახილით სიმპათიურმა ქალიშვილმა ტელეეკრანზე საგანგებოდ გაუსვა ხაზი კომპანია „ტიპოს" ღირსებებს და 16 მარტს ყველა ეროვნულ სტადიონზე მიიწვია, სადაც მეორე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის დღეს დანიშნული ლატარია იღბლიან ხალხს ხუთ „ტიპოს" ჰპირდებოდა. გათამაშების შემდეგ კი ბევრ გულშემატკივარს „მამა მიას" მიახლოებული ქართული ვარიანტი აღმოხდა. გარემოებათა დამთხვევისა თუ სხვა მიზეზების გამო ლატარიამ ეჭვში ჩააგდო ხალხი, რასაც ენერგიული მოქმედება მოჰყვა: ერთ-ერთი მშვენიერი „ტიპო" მაყურებლებმა ციმციმ მიიტანეს საქართველოს ტელევიზიაში და თავიანთი აღშფოთებაც ტელევიზიის საშუალებით გამოთქვეს. ამას მეორე დღესვე მოჰყვა ლატარიის ორგანიზატორთა განმარტებითი გამოსვლა...

21 მარტს, ლატარიის მეორე გათამაშების წინ ვესაუბრეთ უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გივი ურიათმყოფელს, აგრეთვე საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს.

როგორც მათი ნათქვამიდან შევიტყვეთ, „ტიპოები" ეკუთვნის იტალია-საბჭოთა კავშირის ერთობლივ საწარმო „ლოგოვაზს". თითო მანქანა, დღევანდელი კომერციული ფასებით, ტრანსპორტირების ხარჯთან ერთად, 250 ათას მანეთად არის შეფასებული. თავის სამშობლოში „ტიპო" 12 ათას დოლარამდე ღირს, თბილისში — 14 ათასამდე. რადგან დოლარის დღევანდელი „შავი" ფასი ახლა 30 მანეთამდეა, უბრალო არითმეტიკითაც ჩანს, რომ 250 ათასი მანეთი ამ ავტომანქანის „ზომიერი" ღირებულებაა, თუმცა, ცხადია, დასახელებული თანხის სიდიდეც უნდა გავითვალისწინოთ.

— ეს ლატარია საქველმოქმედო დანიშნულებისაა, — თქვა ბატონმა გივიმ, — მოგების 65 პროცენტი ირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის სააღდგილმამულო ფონდში, 35 პროცენტი მიაქვს თბილისის კოოპერატივს („უნივერსალ-89"-ს — გ. ჩ.), რომელმაც ამ მანქანების ტრანსპორტირება უზრუნველყო. მაგრამ ეს კოოპერატივი იბეგრება და მისი კუთვნილი თანხის 35 პროცენტი საქართველოს ბიუჯეტში ირიცხება. 150 ათასი მანეთი რჩება ეროვნულ სტადიონს, ესე იგი სპორტს ხმარდება. ჩვენ ფონდზე კი რა მოთხოვნილებაა, კარგად იცით, ვინ აღარ გვთხოვს დახმარებას: სვანეთი, აჭარა, ცალკეული სოფლები...

— ვინ შეადგინა ლატარიის ჩატარების დებულება? იქნებ მართლაც ჯობდა მისი, ასე ვთქვათ, პროპორციული პრინციპით გამართვა, რასაც გულშემატკივართა ერთი ნაწილი მოითხოვდა, ესე იგი, ყოველ 20 ათას ბილეთზე ერთი მანქანა გათამაშებულიყო?

— დებულება ლატარიის ჩატარების საკავშირო ინსტრუქციის საფუძველზე შემუშავდა საქართველოს მინისტრთა მთავრობაში. ინსტრუქცია კრძალავს ასეთ პროპორციულ სისტემას. მოგების წილი 40 პროცენტია, მაგრამ ლატარია ლატარიაა და, თუკი ყველა ბილეთი არ გასაღდა, მოგების დიდი ნაწილი შესაძლოა გაუყიდავ ბილეთებში დარჩეს, როგორც ახლა მოხდა. მოგეხსენებათ, გაიყიდა 75 ათასამდე ბილეთი, მაგრამ ხუთიდან სამი მანქანა არ გათამაშებულა.

— ასეთი შემთხვევა ხომ ზრდის ორგანიზატორთა მოგებას?

— დიახ, ასეა. თუმცა მატერიალურად უფრო ვიხეირეთ, რეკლამის თვალსაზრისით, ჩვენთვისაც ჯობდა ხუთივე მანქანა გათამაშებულიყო. მაშინ მეორე გათამაშებაზეც ბევრი ხალხი მოვიდოდა. ახლა კი ხომ ხედავთ, ტრიბუნები თითქმის ცარიელია...

როგორც მკითხველი შენიშნავდა, თეორიულად შესაძლებელია, რომ გაიყიდოს, ვთქვათ, 95 ათასი ბილეთი, მთელი მოგება კი იმ დარჩენილ 5 ათასში აღმოჩნდეს. ასეთია დებულება. შეუძლია თუ არა ჩვენ მთავრობას დამოუკიდებლად შეიმუშაოს ლატარიის ჩატარების ახალი, საკუთარი წესდება (თუნდაც უცხოური გამოცდილების საფუძველზე)? ამის შესახებ ბატონმა გივიმ თქვა, რომ შესაძლებელია, ოღონდ ჯერ ეს არავის გაუკეთებია, არსებული კი ყველა ნიუანსს ითვალისწინებსო.

რაც შეეხება გულშემატკივართა ეჭვებს არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია, რომ მათ პასუხი გავცეთ. ერთს კი ვიტყვით: მთელი საორგანიზაციო ჯგუფი ეჭვების გასაბათილებლად დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ დაინტერესებულ ხალხს პირადად მიეღო მონაწილეობა ლატარიის გათამაშებაში, ანდა მისი მეთვალყურე ყოფილიყო. კარგი იქნება, რომ გაზეთებმაც თითო წარმომადგენელი მოავლინონო, — ესეც კი თქვეს. საყვედური მილიციის მისამართითაც გაისმა: ხალხმა მათ თვალწინ მანქანა წაიყვანა და დააზიანა, მაგრამ არაფერი ილონესო.

სხვათა შორის, ჩვენი იქ ყოფნისას „ლოგოვაზის" წარმომადგენელმა რამდენჯერმე დაბეჯითებით გაიმეორა: „თუკი კვლავ ასეთი ექსცესი მოხდება, მანქანებს ლატარიაში კი აღარ გავათამაშებთ, ჩვეულებრივი წესით გავყიდით, მოგება მეტი დაგვრჩება"-ო.

გოგი ჩოჩიშვილი

P.S. მეორე გათამაშებაში სულ 6 ათასი ბილეთი გაიყიდა და „ტიპოები" ხელუხლებელი დარჩა.

# უძლიერესნი უძლეველნი რჩებიან

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპმა, რომელიც ბრაზილიის „ინტერლაგოსის" ტრასაზე ჩატარდა და რიგით 502-ე „გრან პრი" იყო ამ რბოლათა 41 წლიანი ისტორიის მანძილზე, დაგვანახა, რომ ახალ სეზონში შემთხვევითობებს არ უნდა ველოდოთ. ძლიერი გუნდები რჩებიან უძლეველებად და მათ დავაში მხოლოდ მდიდარი მეტოქეები თუ ჩაერევიან, ისიც, ევროპაში დაგეგმილ ეტაპებზე.

სან-პაულუს გარეუბანში განლაგებულმა „ინტერლაგოსის" ტრასამ არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ადგილობრივ სინოპტიკოსთა ცნობით ბოლო ორმოცი წელია აქ ასეთი წვიმები არ ყოფილა. ამის გამო საკვალიფიკაციო რბოლა არ გამოირჩეოდა მაღალი შედეგებით. შაბათს წვიმა შეწყდა და ტრასა გაშრა. ასეთ პირობებში მრბოლელებმაც მეტი სიმარჯვე გამოიჩინეს. ჯერ რიკარდო პატრეზემ „უილიამს-რენოთი" უჩვენა საუკეთესო დრო და ტრასის არაოფიციალური რეკორდიც დაამყარა. ეს შედეგი მისმა თანაგუნდელმა ნაიელ მენსელმა გააუმჯობესა. მერე კი ჯერი აირტონ სენაზეც მიდგა. მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა (დასაწყისში რამდენიმე მანქანამ შეუშალა ხელი) მან საუკეთესო დრო უჩვენა და 54-ედ დაიკავა პირველი სასტარტო პოზიცია.

რბოლა მთლიანობაში, თუ შეიძლება ითქვას, „მოსაწყენი" გამოდგა. მან მოულოდნელობებისა და დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ „მარად მეორე" ნაიჯელ მენსელი შეეცადა სენასთვის ზედიზედ მეორე გამარჯვებაში ხელი შეეშალა. მაგრამ იმ დღეს ფორტუნა მენსელს არ სწყალობდა.

რბოლის დღეს ამინდი ნესტიანი და ცხელი იყო. ფინიშამდე რამდენიმე წრეღა რჩებოდა, როცა კვლავ გაწვიმდა. სენამ სტარტიდანვე ჩაიგდო ლიდერობა, მენსელმა კი გადაუსწრო პატრეზეს და პირველივე მეტრებიდან „აედევნა" მას. მაგრამ მენსელს უსიამოვნება ელოდა: როცა იგი ბოქსში შევიდა საბურავების გამოსაცვლელად მოულოდნელად ჩაქრა მისი „უილიამსის" ძრავა. საბოლოო ჯამში მან მხოლოდ 16 წამის შემდეგ განაგრძო რბოლა. სენას იგივე პროცედურისათვის 7 წამზე ნაკლები დაჭირდა. ამ მომენტისთვის მეორე ადგილზე პატრეზე მიდიოდა. მაგრამ მენსელმა ახალი საბურავებით შეძლო მისი უკან ჩამოტოვება და ლიდერს დაედევნა. მაგრამ მალე მას კვლავ დაჭირდა ბოქსში დაბრუნება საბურავების გამოსაცვლელად. აქვე აღვნიშნავ, რომ თითქმის ყველა მონაწილემ ორჯერ გამოცვალა საბურავები. მხოლოდ სენამ იკმარა ერთი შეცვლა.

„უილიამსის" ავტომობილებს სიჩქარეების ნახევრად ავტომატური კოლოფი აქვთ. სიჩქარე ღილაკის დაჭერით გადაირთვება და, აი, მესამოცე წრეზე, როცა მენსელმა დააჭირა ღილაკს მეოთხე სიჩქარეში გადასართავად, ავტომატმა ჩართო... მეორე სიჩქარე. ასეთი „სიურპრიზისთვის" მენსელი მზად არ იყო და მისი დაზარალებული ავტომობილი ტრასიდან გავარდა. ამის მერე სენას გამარჯვება მხოლოდ დროის ამბავიღა იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მღელვარება არც მას აცდებოდა. მას იმდენად უნდოდა ბოლოსდაბოლოს მოეგო ბრაზილიის „გრან პრი" და თანაც თავის მშობლიურ ქალაქში, რომ დაძაბულობისაგან კრუნჩხვებიც კი დაეწყო. ფინიშამდე ექვსი წრით ადრე კი მას ახალი უსიამოვნება შეემთხვა: ჯერ იყო მესამე და მეხუთე სიჩქარეები გაითიშა, მერე კი მეოთხეც. ამან აიძულა სიჩქარე საათში 300კმ-დან 70კმ-მდე დაეგდო და ასე კუს ნაბიჯებით მიეღწია ფინიშისთვის. მას გამარჯვება არ ეწერა, რომ არა მენსელის მარცხი. ასეა თუ ისე სენამ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რის მერე 100 მეტრიც არ გაევლო, რომ ძრავა საბოლოოდ ჩაუქრა.

— ასე ინება ღმერთმა! განაცხადა სენამ რბოლის შემდეგ. — მე დიდხანს მემახსოვრება ჩემი პირველი გამარჯვება მშობლიურ ქალაქში. ალბათ იმაზე დიდხანს, ვიდრე 1985 წელს პორტუგალიაში მოგებული პირველი „გრან პრი" ან 1988 წელს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის პირველი ტიტული.

მეორე ადგილი დაიკავა ფორმულა 1-ის ვეტერანმა რიკარდო პატრეზემ. ეს მისი 210-ე „გრან პრი" იყო, მესამე კი ფინიშთან გერჰარდ ბერგერის „მაკლარენი" მიიჭრა. ალენ პრისტის „ფერარი" მხოლოდ მეოთხე იყო.

სპეციალისტთა აზრით „ფერარის" მანოპოსტები ამჯერად ცუდად გამოვიდნენ და „წითელი ბოლიდები" მთავარ ბრძოლას „მაკლარენს" სან-მარინოს „გრან პრის" დროს გაუმართავენ. ამ დროისთვის ელიან ახალ, სრულყოფილ ძრავებს.

და მაინც, ამ — „მშვიდ" ეტაპსაც არ ჩაუვლია თავისი „აღმოჩენის" გარეშე. ასეთ — აღმოჩენად იქცა ფინელი მიკა ჰაკინენი, რომელმაც თავისი „ლოტუსით" მეცხრე ადგილი დაიკავა. სპეციალისტები თვლიან, რომ მას მალე გაცილებით მნიშვნელოვანი სიურპრიზის შემოთავაზებაც შეეძლება. საკმარისია გავიხსენოთ ფორმულა 3-ის შარშანდელი რბოლა მაკაოში, რომელშიც ჰაკინენმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ეტაპმა კორექტულად, შეჯახების გარეშე ჩაიარა, ისე რომ მსაჯებს არც ერთხელ არ უხმარიათ ყვითელი ალამი.

ბრაზილიის „გრან პრის" შედეგები (71 წრე, საერთო სიგრძე 307, 075კმ). საუკეთესო დრო ერთ წრეზე (4,325მ): ნაიჯელ მენსელი — 1:20, 436 (193, 570კმ/სთ).

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — 1:38. 28,128 (187,72კმ/სთ); 2. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი") — ჩამორჩა 2,991წმ; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი") — 5,416; 4. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — 19,369; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი") — 21,960; 6. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 23,641; 7. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი") — 1 წრე; 8. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი") — 2; 9. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი") — 3; 10. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე") — 3; 11. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა") — 3; 12. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებ-ჰემი") — 4; 13. ბერტრან გაშო (ბელგია, „ჯორდანი") — 8.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 24; 2. ფერარი — 10; 3-4. ბენეტონი — 6; 3-4. უილიამსი — 6; 5. ტირელი — 5; 6. ლოლა — 1.

შემდეგი ეტაპი, სან-მარინოს „გრან პრი", 28 აპრილს ჩატარდება.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის კორესპონდენტი
სპეციალურად „სარბიელისთვის".

**აირტონ სენა**
ბრაზილია



როგორც იქნა, ფორმულა-1 ავტორბოლაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ გამარჯვება მოიპოვა თავისი ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშებაში. „ფორმულაში" ასპარეზობის 8 წლის მანძილზე მას მოგებული ჰქონდა 13 ქვეყნის „გრან პრი", საკუთარ „ჭერქვეშ" კი აშკარად არ წყალობდა ბედი.

სან პაულუს გარეუბანში „ინტერლაგასის" ტრასაზე გამარჯვებით სენამ მოგებულ ეტაპთა რაოდენობა 28-მდე აიყვანა (112 რბოლიდან). საერთო ჯამში მას უკვე 415 ქულა აქვს მოგროვილი და ამ მაჩვენებლით მხოლოდ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს ალენ პროსტს, ნელსონ პიკესა და ნიკი ლაუდას ჩამორჩება.

ბრაზილიელმა პილოტმა, რომელსაც ერთი კვირის წინ 31 წელი შეუსრულდა, წლევანდელი ჩემპიონატის ორივე ეტაპი მოიგო, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა. უკანასკნელად ეს 9 წლის წინ შეძლო „რენოს" მონოპოსტით მოასპარეზე ფრანგმა ალენ პროსტმა.

| |  | აშშ | ბრაზილია | | | | | | | | | | | | | | | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | 20 |
| 2 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | 6 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 3 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | 4 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 4 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | — | 6 | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | — | 4 | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 6 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | 3 | — | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 7 | სატორუ ნაკაძიმა<br>იაპონია | 2 | — | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 8 | აგური სუზუკი<br>იაპონია | 1 | — | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 9 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | — | 1 | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 10 | ________ | | | | | | | | | | | | | | | | | |

## გულშემატკივრის ცნობარი

(10)

(გაგრძელება)

ამით საზოგადოებრიობამ ერთხელ კიდევ მოწიწებით აღნიშნა „კალათბურთის პაპის" დამსახურება მსოფლიო სპორტის წინაშე.

1950 წელი. ჩატარდა ვაჟთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. სამი წლის შემდეგ იმავე რანგის ტურნირში ურთიერთობას პირველად არკვევენ ქალები.

1958 წელი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დაფუძნების თარიღი (სხვაგვარად ამ შეჯიბრებას „ვერცხლის თასის" ტურნირსაც უწოდებდნენ). 1967 წელს საფუძველი ჩაეყარა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებას — ძველი სამყაროს კალათბურთელთა მეორე პოპულარულ ასპარეზობას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე ეს ტურნირი ფიბა-მ მიღო და დაამტკიცა ჟურნალისტთა წინადადებით. პირველი ტურნირის „ავტორი" გახლავთ პოპულარული ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი", მეორისა კი — პოლონური ჟურნალი „პშეგლონდ სპორტოვი".

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა თხრობისათვის, ვინაიდან კალათბურთის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული დეტალები, ფაქტობრივად ამოვწურეთ. მაგრამ ქართულ სპორტს კალათბურთის მიმართ თავისი დამოკიდებულება აქვს და ამიტომაც ვაგრძელებთ საუბარს.

ქართული კალათბურთის ისტორია, უფრო სწორად, ამ ისტორიის თავფურცელი, ერთ ბედნიერ შემთხვევასთანაა დაკავშირებული, რომლის უშუალო მონაწილე იყო მაშინდელი მუშფაკის ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელი, სპორტის დაუღალავი ქომაგი და ენთუზიასტი ალექსანდრე ჭელიძე.

1922 წელი იდგა, როცა მოსკოვში, სოკოლნიკის სტადიონზე, ვსევობუჩის სპარტაკიადის მძლეოსანთა ასპარეზობის დროს ჭელიძემ სრულიად შემთხვევით ნახა უცხო თამაში და ძალზე მოეწონა იგი. გაიკითხ-გამოიკითხა თამაშის არსი, წესები, ყველაფერი წვრილად ჩაიწერა და თბილისში ჩამოსვლისთანავე ნაცნობმეგობრებსა და თანამოაზრეებს გააცნო, თანაც დასძინა, რომ მის დანერგვას აპირებდა.

ერთი წლის შემდეგ მუშფაკის ეზოში, უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე (შემდგომში იქ ჯერ საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი იყო, მერე ტექნიკუმი) მოეწყო კალათბურთის მოედანი (აქ, სხვათა შორის, დღესაც დგას ხე, რომელზეც კალათბურთის ერთ-ერთი ფარი იყო დამაგრებული) და გაიმართა პირველი მატჩი ორ ადგილობრივ გუნდს შორის, ამ მატჩმა საფუძველი ჩაუყარა ქართული კალათბურთის ისტორიას.

თუმცა... არსებობს გაცილებით უფრო ძველი ცნობა, რომლის თანახმადაც ამ თამაშს თბილისში ადრეც იცნობდნენ (ჩვენი საუკუნის დასაწყისში) და სავარაუდოა, რომ იგი საქართველოში ჩეხი ტანვარჯიშების მცდელობით შემოვიდა. ქალაქის რამდენსამე ბიბლიოთეკაში ინახება თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლის ა. სკოტაკის წიგნი, რომელიც, 1901 წელსაა დასტამბული რუსულ ენაზე ჩვენს დედაქალაქში და „სატანვარჯიშო თამაშები" ჰქვია. სასწავლო დაწესებულებებისათვის რეკომენდებულ მოძრავ თამაშებს შორის ავტორს „დიდი ბურთით თამაში" ანუ კალათბურთიც აქვს მოხსენიებული. სკოტაკი, რომელიც საქართველოში ჩეხოსლოვაკიიდან იყო ჩამოსული, ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით, ცხადია, იცნობდა ამ თამაშს. სხვაგვარად მისი წესების დეტალურ აღწერას წიგნში როგორ შეიტანდა?..

ასეა თუ ისე, საქართველოში კალათბურთის დაბადების თარიღად 1923 წელია მიჩნეული, უფრო სწორად, ის დღე, როცა ერთმანეთს შეხვდა მუშფაკის ორი გუნდი. აქედან მოყოლებული გამოვყოფთ ქართული კალათბურთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღებს.

1925 წელი. თბილისში რამდენიმე კალათბურთის მოედანი მოეწყო: „სობოროს პლაცზე" (სადაც ახლანდელი მთავრობის სასახლეა), ქართული და რუსული მუშფაკების ეზოში, ველოტრეკზე (ყოფილი დიდი მთავრის, ამჟამად უზნაძის ქუჩაზე), „შევარდენის" სტადიონზე და ა. შ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ქართული კალათბურთის ფლაგმანი — თბილისის „სინათლე". პირველ რიგში (მარცხნიდან) ბორის გერასიმოვი, გიორგი ეგნატაშვილი, ალექსანდრე ჭელიძე; დგანან — გოგი საყვარელიძე, მიხეილ ცხვედაძე და ალექსანდრე დავიდოვი.



1924 წელი. საქართველოს ქალთა ნაკრები (მარცხნიდან) — გუნდის წარმომადგენელი ვლადიმერ მდივანი, ტაისია დიაჩენკო, მაყვალა ახვლედიანი, ნინო ზალდასტანიშვილი, თამარ გეგელაშვილი, თამარ კონსტანტინოვა, ვართუშ ავაქიანი და თამარ ლეჟავა.

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

# შოთა ხაბარელი: „დღეს სუსტი ძიუდოისტები არ არიან“



ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული კაცი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი იყო: იგი სამი დღის განმავლობაში ყურადღებით ადევნებდა თვალს ასპარეზობას.

— მე მოვალე ვარ კარგად ვიცოდე, რით ცოცხლობს, რით სუნთქავს ქართული ძიუდო, — ამბობს იგი. დღევანდელი ჭაბუკები ხომ ხვალ შეიძლება ნაკრებში მიიწვიონ. ამიტომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, მხედველობიდან გამოგვრჩეს თუნდაც ერთი პერსპექტიული ძიუდოისტი. ჩვენ ამ შეჯიბრებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აქ მწვრთნელებს ეძლევათ შესანიშნავი შესაძლებლობა სარბიელზე ნახონ ახალგაზრდები, თვითონ სპორტსმენები კი მეტად მნიშვნელოვან გამოცდილებას იძენენ, ოსტატობას იმაღლებენ.

**— ხმა გავრცელდა, თბილისის ჭაბუკთა ტურნირი შეიძლება არც ჩატარდესო.**

— არა, ტურნირი კვლავაც ჩატარდება. ამით ჩვენვე ვართ დაინტერესებული. ბოლო ხანს საკავშირო სპორტსახკომმა უფლობა მოიმიზეზა და შეჯიბრების გაუქმებას აპირებდა, მაგრამ ჩვენ შევძელით მისი დაცვა. ამიერიდან ამ ტურნირს, ისევე როგორც თბილისის ტრადიციულ ასპარეზობას უფროსებისათვის, თავად ჩვენ ჩავატარებთ, ცენტრის ჩაურევლად. ამას დამატებითი სახსრები დასჭირდება, მაგრამ რას იზამ. სამაგიეროდ ჩვენი ტურნირების ბედ-იღბლის გამგებლები ჩვენვე ვიქნებით, მსოფლიო სტანდარტებამდე ავიყვანთ მათ დონეს.

**— ღმერთმა ჰქნას, მაგრამ ახლა თქვენი უპირველესი საფიქრალი ალბათ ევროპის მომავალი ჩემპიონატია. ასე არ არის?**

— ასეა. კონტინენტის ჩემპიონატი 17-20 მაისს ჩატარდება პრაღაში. ამ პრესტიჟულ ტურნირში ჩვენ ქართული ძიუდოს ღირსება უნდა დავიცვათ. დღეისათვის საკავშირო ნაკრების კანდიდატია ოცდაოთხი სპორტსმენი, მათგან თორმეტი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. 31 მარტიდან 18 აპრილამდე ისინი საწრთვნელ შეკრებაზე იქნებიან ფელდოსიაში. ამის შემდეგ დადგინდება ნაკრების შემადგენლობა.

**— ნაკრების წევრთა რიცხვში თქვენ ვის ხედავთ იმედოვნებთ?**

— რეალურად ჩვენ ალბათ სამი-ოთხი ადგილი უნდა შევგხვდეს, თუმცა არ მინდა წინასწარ ვილაპარაკო, მით უფრო, რომ ამ საკითხზე მე ჩემი მოსაზრება მაქვს. ევროპის ჩემპიონატი ერთგვარი შემოწმება იქნება მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ივლისში ჩატარდება ბარსელონაში. ჩემი ნება რომ იყოს, ტაქტიკური მოსაზრებებით, ამ „ევროპული გამოცდისაგან“ გავათავისუფლებდი დავით ხახალეიშვილს, ვლადიმერ დგებუძეს, კობა კურტანიძეს — თავიანთ წონებში საუკეთესო ძიუდოისტებს. მაგრამ ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობა ჩემს პოზიციას გაიზიარებს და ამ სპორტსმენებს ევროპის პირველობის გვერდის ავლით მსოფლიო ჩემპიონატში გამოიყვანს?.. საერთოდ კი ჩვენი ბიჭები თავს მშვენივრად გრძნობენ და მზად არიან ბრძოლისათვის.

**— თქვენ, როგორც იტყვიან, მოვლენათა შუაგულში ტრიალებთ. რა ტენდენციები ისახება მსოფლიო ძიუდოს განვითარებაში?**

— საგრძნობლად ამაღლდა მისი საერთო დონე. ახლა ოფიციალურ შეჯიბრებათა პრიზიორებს შორის ხშირად ვხედავთ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს სადაც ადრე ძიუდო ნაკლებად იყო განვითარებული, მაგალითად, ისრაელის, თურქეთის ძიუდოისტებს... ორთაბრძოლებიც უფრო საინტერესო გახდა, შინაარსიანი. დომინირებენ ის სპორტსმენები, რომლებიც კარგად უხამებენ ერთმანეთს ტექნიკასა და ატლეტიზმს. ძიუდო სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გახდა, რაც ასე მოსწონს მაყურებელს.

**— არსებობს შეხედულება, თითქოს ძიუდოს ფუძემდებლებმა დათმეს პოზიციები.**

— მართალია, იაპონელები წარუმატებლად გამოვიდნენ სეულის ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ ერთი ტურნირის მიხედვით ნუ ვიმსჯელებთ. იაპონიას დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს. უწინდებურად ძლიერი ძიუდოისტები ჰყავთ ფრანგებს, ბრიტანელებს, სამხრეთ კორეელებს. გერმანიის გაერთიანების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ამ ქვეყნის ძიუდოისტთა პოტენციალი. ასე რომ, მსოფლიო სარბიელზე კონკურენცია მეტად გამძაფრდა.

**— ახლა ხშირად ლაპარაკობენ იაპონელ ნაგოი ოგავაზე. თქვენ რას იტყვით მასზე?**

— მე იმას ვიტყვი, რომ ლეგენდარულ იასუხირო იამასიტას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა. ოგავა უდავოდ ნიჭიერი ძიუდოისტია. მან ორჯერ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატში. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ სულ მალე ოგავას ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ჩვენი დავით ხახალეიშვილი, რომელმაც დიდ პროგრესს მიაღწია.

ესაუბრა
ზალვა ზალოლაშვილი.

# გამოცდა მსოფლიო თამაშების წინ

ჭაბუკ ძიუდოისტთა მეექვსე საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სახელგანთქმული ათლეტის ანზორ კიკნაძის ხსოვნას მიეძღვნა, საქართველოს სპორტსმენებმა შვიდი უმაღლესი ჯილდო დაისაკუთრეს. მათვე მოიპოვეს 6 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი.

ჩვენს ჭაბუკებს ბადალი არ ჰყავდათ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ამ შეჯიბრებაში (სარბიელზე გამოდიოდნენ 1974-76 წლებში დაბადებულნი გერმანიის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები). ცხრიდან ექვს წონით კატეგორიაში სწორედ ისინი პირველობდნენ. გაიმარჯვეს მიხეილ აბაშიძემ (48 კგ-მდე), გიორგი რევაზიშვილმა (57 კგ-მდე), გიორგი ვაზაგაშვილმა (62 კგ-მდე), მამუკა ლეზარაულმა (68 კგ-მდე), ალექსანდრე ღვინიაშვილმა (76 კგ-მდე) და ალექსი დავითაშვილმა (90 კგ-ს ზევით). სპეციალისტთა აზრით, ყველაზე საინტერესო იყო ვაზაგაშვილის გამოსვლა. ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ მესამედ მოიგო ეს შეჯიბრება.

ქალთა ძიუდო ჩვენთვის შედარებით ახალი ხილია. ამიტომ ქართველი ძიუდოისტების ყოველი ახალი წარმატება განსაკუთრებით ახარებს გულშემატკივარს. ამჯერად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თეა დონღუზაშვილი (72 კგ-ს ზევით). ვერცხლის ჯილდო ხვდა ანა ლომიძეს (72 კგ-მდე), ბრინჯაოსი — ქეთევან ბუკიაშვილს (52 კგ-მდე).

ტურნირმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. რაც აიხსნება იმით, რომ ივნისში ბელგიაში ჩატარდება კადეტთა მსოფლიო თამაშები (16 წლამდე ასაკის სპორტსმენებისათვის), რომლის პროგრამაში ძიუდოც არის შეტანილი. ასე რომ, თბილისის ტურნირში გამარჯვებულნი ამ პრესტიჟულ კომპლექსურ შეჯიბრებაში მონაწილეობის რეალური კანდიდატები არიან.

რამდენად მტკიცეა ჩვენი ახალგაზრდა ძიუდოისტების პოზიციები? — ამ შეკითხვით მივმართეთ ძიუდოს ცნობილ სპეციალისტებს.

ანზორ მარტყოფლიშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი: — ჩვენი ძიუდოისტების შედეგები ეს იმ ნაყოფიერი მუშაობის დადასტურება გახლავთ, რომელიც რესპუბლიკაში ტარდება სრულფასოვანი რეზერვის მოსამზადებლად. თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გვყავს პერსპექტიული ძიუდოისტები, რომლებიც მომავალში, იმედი გვაქვს, კიდევ ბევრჯერ გამოიჩენენ თავს. ჩვენს ბიჭებს ნამდვილად შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ ჭაბუკთა მსოფლიო თამაშებში მონაწილეობაზე. რაც შეეხება თავად ტურნირს, განვლილმა წლებმა დაადასტურა მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიცოცხლისუნარიანობა. ეს შეჯიბრება იქცა ძლიერი ძიუდოისტების ნამდვილ სამჭედლოდ, რომლებმაც შემდეგ დიდ სარბიელზეც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ლერი მელიქიძე, ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების ქალთა ძიუდოს განყოფილების უფროსი: — ამჟამად საქართველოში ქალთა ძიუდო ჩამოყალიბების პერიოდშია. მიუხედავად ამისა, გარკვეულ წარმატებებს უკვე მივაღწიეთ. აგერ უკვე მეორე წელია ჩვენი გოგონები უმედლოდ არ ჩამოდიან საკავშირო შეჯიბრებებიდან. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს მწვრთნელებს მურად მჭარიაშვილის ხელმძღვანელობით. ძალიან გაგვახარა თეა დონღუზაშვილის წარმატებამ. მისი ოსტატობა დღითი დღე იზრდება. შარშან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში თეა მესამე იყო, მერე მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყო მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატში და აი, ახლა გამარჯვებაც იზეიმა. იგი ჭაბუკთა და გოგონათა მსოფლიო თამაშებში მონაწილეობის უდავო პრეტენდენტია.

„თეთრონის“ სიახლე!






# შავი ზურგების უპან

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტში ბუნებრივ ნიჭს, ამაში აფრიკელ მორბენალთა წარმატებებიც გვარწმუნებს. მაგალითად, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე კენიელმა მძლეოსნებმა თითქმის ყველას გადაუწურეს იმედი იმ დისტანციებზე, რომელიც ადამიანისაგან, პირველ რიგში, ამტანობას მოითხოვს. მათ დამაჯერებლად გაიმარჯვეს 800, 1500, 5000 მეტრ მანძილებზე და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 10 კილომეტრზე და მარათონში კი შესაბამისად ბრინჯაოს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

მაგრამ მძლეოსანთა ტურნირის პროგრამა აგრეთვე შეიცავს ტყორცნას, ხტომასა და სპრინტს, რომელშიც აფრიკელები ნაკლებად ძლიერნი არიან, თუმცაღა, მათდა საბედნიეროდ, არსებობს შეჯიბრება, სადაც სრულად შეუძლიათ გასაქანი მისცენ თავიანთ განსაკუთრებულ ნიჭს. ეს არის მძლეოსან-კროსმენთა ყოველწლიური მსოფლიო ჩემპიონატები. აქ აფრიკელთა უპირატესობა სრულია და თვალსაჩინო. მაგალითად, იუნიორთა შარშანდელ გარბენში პირველიდან მეთორმეტე ადგილებზე სულ „შავი კონტინენტის“ წარმომადგენლები გავიდნენ. კენიელებს, ეთიოპელებს, პრობლემები უშუალოდ ჩემპიონატის დროს კი არ წამოეჭრებათ ხოლმე, არამედ მის წინ: არც ისე იოლი გადასაწყვეტია მათს უამრავ შესანიშნავ მორბენალთა შორის საუკეთესოების არჩევა.

კროსმენთა წლევანდელ, რიგით მე-19 მსოფლიო ჩემპიონატს ბელგიის ქალაქმა ანტვერპენმა უმასპინძლა... ჩვენთვის ალბათ გაუგებარია ის ინტერესი, რომელსაც



ჰალიდ სკახი

ევროპელები იჩენენ ამ შეჯიბრებისადმი. კროსს მრავალი ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ხოლო გამოჩენილ მძლეოსანთა დიდი რიცხვი განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა ჩემპიონატს.

შეჯიბრების სიუჟეტი კი, ძირითადად, „ნაცნობი“ იყო და შარშანდელსა თუ შარშანწინდელს ჰგავდა: ოთხიდან სამ დისტანციაზე გამარჯვება ისევ აფრიკელებს დარჩათ, მაგრამ მათგან ერთი კენიელი ან ეთიოპიელი კი არა, არაბი გახლდათ — მაროკოელი ჰალიდ ხკახი, რომელიც ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. საოცარი იყო რომ შარშანაც და ახლაც იგი ფინიშზე ორ კენიელ მორბენალს ებრძოდა და ორივეჯერ ძლიერი ფინიშით დაამარცხა ისინი. ხკახმა 11 კილომეტრი და 764 მეტრი (კროსში დისტანციის სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს) 33 წუთსა და 53,6 წამში გაირბინა, მომდევნო ხუთი ადგილი (!) კი კენიელებმა დაიკავეს.

სამაგიეროდ, იუნიორ გოგონათა შორის ბადალი არ ჰყავდა მათ 14 წლის (!) თანაგუნდელს ლიდია ჩარომეის, რომელმაც 4-5 წლით უფროსი მეტოქეები 20 და მეტი წამით ჩამოიტოვა. მისი გამოსვლა ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი საოცრება გახლდათ.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში, როცა შავკანიან მორბენალთა ჯგუფმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, საკმაოდ გრძელ „ჰორიზონტზე“ ერთი „მკრთალსახიანიც“ არ ჩანდა. ოღონდ კენიელებს აქ აჯობა ტანზანიელმა ენდრიუ ტამბომ, რომელმაც 8 კილომეტრზე ცოტა გრძელი მონაკვეთი 24 წუთსა და 0,2 წამში დაფარა.

მხოლოდ ქალთა გარბენში (6425 მ) თავისი დიდი ოსტატობისა და ასეთივე დიდი გამოცდილების წყალობით ახალგაზრდა აფრიკელებს აჯობა მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ლინ ჯენინგსმა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური პირველობის მედლებიც თამაშდება (ჩათვლაში 6-6 სპორტსმენის შედეგი შედის). აქ კენიელები აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ — მოიგეს გოგონათა, ჭაბუკთა, ქალთა და ვაჟთა გარბენები.

საბჭოთა მორბენალთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი ოლეგ სტროჟაკოვიც, რომელიც საუკეთესო იყო თანაგუნდელ ვაჟთა შორის (27-ე ადგილი — 35.01). მათმა თანაგუნდელმა ქალებმა კი, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ, მესამე ადგილი დაიკავეს.

გიორგი კაპლიაშვილი

# ერთ მუშტად თუ შევიკვრებით



**საიდან იწყება სპორტი?**

**ფრანგები ამ კითხვას, თურმე, ასე პასუხობენ: კანონიდან!**

**სად სპორტი და სად კანონი — გაიკვირვებს მკითხველი და მართალიც იქნება; ჩვენს წარმოდგენაში სპორტი თითქოს „კანონგარეშე" სფეროა და არ თავსდება მკაცრ იურიდიულ ჩარჩოებში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დასავლეთის ბევრ ქვეყანაში სპორტის განვითარება კანონით რეგულირდება.**

**ჩვენ, ცხადია, ამ საქმის გამოცდილება არა გვაქვს. ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე კანონები მოსკოვში იწერებოდა, თუმცა სპორტი იქაც არავის გახსენებია. სპორტული საქმიანობის ორგანიზაციის სამართლებრივი აქტების შემუშავება საქართველოს ახალ ხელისუფლებას მოუწევს, კონკრეტულად — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიას, რომელსაც ამ ერთი თვის წინ სათავეში ჩაუდგა ბერდია გუგავა.**

**ბატონი ბერდია დღეს „სარბიელის" სტუმარია.**

**— ამგვარი კომისია, თუ არ ვცდები, უზენაეს საბჭოში აქამდე არ არსებობდა...**

— ჯერ ჩვენი კომისიაც არ შედგომია მუშაობას, ჩამოყალიბების პროცესშია. ამას, ალბათ, კიდევ ორი-სამი კვირა მაინც დასჭირდება. გვინდა შემოვიკრიბოთ სპორტში, ტურიზმში გათვითცნობიერებული, ავტორიტეტული ხალხი, ამ საქმის ნამდვილი სპეციალისტები, რომელთაც ხელეწიფებათ ალღო აუღონ ახალ ვითარებას, დღევანდელობის მოთხოვნებს.

**— რა მიგაჩნიათ თქვენი ქვეკომისიის უპირველეს და უახლოეს ამოცანად?**

— სპორტული მოძრაობის მართვის, ტურიზმის განვითარების სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ამაში ვხედავ კანონმდებელი ორგანოს უმთავრეს დანიშნულებას. კანონი, ცხადია, არ უნდა ზღუდავდეს ინიციატივას. პირიქით. ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ და წავახალისებთ ყველა ახალ წამოწყებას, საქმიან წინადადებებს. ჩვენი სპორტული და ტურისტული ინდუსტრია, გასაგებ მიზეზთა გამო, აქამდე ცენტრის სოციალურ დაკვეთას ასრულებდა და მეტწილად არ ითვალისწინებდა რესპუბლიკის ინტერესებს. მოსკოვის დიქტატისაგან თავდახსნა იოლი საქმე არ არის, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ერთი სიტყვით, მოგვიწევს ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საერთაშორისო სპორტულ და ტურისტულ სამყაროსთან დამოუკიდებელი და პირდაპირი ურთიერთობის დამყარება. ახლა რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირში ისეთი ვითარებაა, ერთობ შეზღუდულია ჩვენი შესაძლებლობანი. გზადაგზა არაერთი ხელოვნური წინააღმდეგობაც შეგვხვდება, მაგრამ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

**— აგერ უკვე ორი წელიწადია ქართული სპორტი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება ჭირჭირობით ვერ ხერხდება (გამონაკლისია კარატეს ფედერაცია). რესპუბლიკის ხელისუფლების აქტიური ჩარევის გარეშე ეს პროცესი, ეტყობა, კარგა ხანს გაჭიანურდება...**

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მთავრობას დღეს იმდენი გადაუდებელი და საარსებო მნიშვნელობის საკითხი აქვს მოსაგვარებელი, გასაკვირი არ არის, რომ სპორტისთვის საფუძვლიანად აქამდე ვერ მოიცალა. ამას გარდა, როგორც გითხარით, ჩვენი ქვეკომისია პრაქტიკულად ჯერ არ შედგომია მუშაობას. ახლო მომავალში, რა თქმა უნდა, მოვამზადებთ პირველი რიგის წინადადებებს და განსახილველად შევიტანთ უზენაეს საბჭოში. იმისთვისაც ვიზრუნებთ, რომ სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სპორტის, ტურიზმის ინტერესები. როგორც იცით, სპორტსახკომის ნაცვლად შეიქმნა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, დირექტორად დაინიშნა ბატონი კახი ასათიანი, რომელსაც შეუვალი ავტორიტეტი აქვს სპორტის სამყაროში. სწორედ დეპარტამენტი შეასრულებს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას, დამოუკიდებლად უხელმძღვანელებს ამ უბანს და ცხადია, საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობასაც იკისრებს.

> **ბერდია გუგავა**
>
> **დაიბადა 1957 წელს ლენტეხში.**
>
> **1980 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი.**
>
> **საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში.**
>
> **მუშაობდა მწვრთნელად, ლენტეხის ტურბაზის დირექტორად, ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორად.**
>
> **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიის თავმჯდომარე.**
>
> **ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.**

ჩვენი მთავარი ორიენტირი სწორედ საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი გასვლა იქნება და ამისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ გარდამავალი პერიოდი. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე აუცილებელია მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ იმ რესპუბლიკებთან, რომლებიც ასევე თავისუფლებისთვის იბრძვიან. რაკი ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, საერთო ენის გამონახვაც გაიოლდება და საბოლოო მიზნის მიღწევაც. ამ საქმის გადადება არ შეიძლება. ამასთან ერთად, ცალკეულმა სპორტულმა ფედერაციებმაც უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატონ პოზიციები. ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის, მსხვერპლისთვის ყველანი მზად უნდა ვიყოთ.

**— ბევრი ჩვენი ცნობილი სპორტსმენი, აქტიურ სპორტს თავს რომ ანებებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სხვა სფეროში მიდის სამუშაოდ.**

— აქამდე ასე იყო: სპორტში ის რჩებოდა, ვინც, პირდაპირ ვთქვათ, სარფიან საქმეს ვერ შოულობდა. ეს ხალხი სპორტს თითქოს არ ჰირდებოდა. ამას, ცხადია, აქვს თავისი მიზეზები. უწინარესად, ალბათ, გასათვალისწინებელია სოციალური ფაქტორები, თუმცა მიზეზი მარტო ეს არ არის. სპორტში ხელმძღვანელ მუშაკებად ეგრეთწოდებულ ფუნქციონერებს ნიშნავდნენ, სპორტულ ფედერაციებსაც, როგორც წესი, მინისტრები და სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელები განაგებდნენ, პროფესიონალებისთვის ადგილი არ რჩებოდა. დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციების შექმნის პროცესი, დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩვენს სახელოვან სპორტსმენს მოაბრუნებს თავისი საქმისაკენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც ამდენი ცნობილი ფეხბურთელი შემოიკრიბა. ჩვენი ქვეკომისია შეეცდება ახლო მომავალში შეიმუშაოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა იურიდიული და სოციალური დაცვის მექანიზმი. უნდა დავაკანონოთ პროფესიონალიზმი სპორტში. მაღალი შედეგების მისაღწევად სპორტსმენი დღეში ხუთ-ექვს საათს ვარჯიშობს. ეს უკვე პროფესიაა. გასარკვევია სპორტის მატერიალური და ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხებიც. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის გარეშე საქმე წინ ვერ წავა. ახლა ჩვენს რესპუბლიკას ისე უჭირს, როგორც არასდროს, მაგრამ სპორტი, შესაძლებლობის ფარგლებში, თავის წილს უთუოდ მიიღებს. ამავე დროს, უნდა ვეძებოთ სპონსორები, გასაქანი მივცეთ კომერციას, რეკლამას.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ნავარაუდევი იყო სპორტისა და ტურიზმის ერთ დეპარტამენტში გაერთიანება, მაგრამ ასე არ მოხდა...**

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ ტურიზმის დეპარტამენტი ალბათ ცალკე შეიქმნება. მის გამგებლობაში შევა ყველა სახის ტურიზმი. ამ სფეროში, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ბევრი პრობლემა დაგროვდა და დიდი ძალისხმევა გვმართებს, რათა საქართველო მაღალგანვითარებული ტურიზმის ქვეყნად იქცეს.

**— სპეციალისტების დაკვირვებით, შეინიშნება ერთი არასასურველი ტენდენცია: ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა გული აიცრუა სპორტზე. ზოგიერთი მოქმედი სპორტსმენი და მწვრთნელიც ეჭვის თვალით უყურებს უახლოესი წლების პერსპექტივას. საკავშირო ნაკრებ გუნდებთან ურთიერთობის ერთბაშად გაწყვეტა ხანგრძლივი იზოლაციით ხომ არ ემუქრება ჩვენს სპორტულ მოძრაობას?**

— ამის საშიშროება, რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ, ვიმეორებ, დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ გამოვა. თუ ყველანი ერთ მუშტად შევიკვრებით, არა მგონია, „თვითგამორკვევის" პროცესი დიდხანს გაგრძელდეს. დღეს თუ არა ხვალ, საერთაშორისო სპორტული სამყარო იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ჩვენს მისწრაფებას. მით უმეტეს, ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი აღიარებს თითოეული ერის უფლებას დამოუკიდებლად მონაწილეობდეს საერთაშორისო ცხოვრებაში. რაც შეეხება მოსკოვთან ურთიერთობას, გარდამავალ პერიოდში კავშირის გაწყვეტას არ ვაპირებთ, ძალას არავის არ დავატანთ, მაგრამ ამავე დროს გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია აქედანვე ვეძებოთ რესპუბლიკის გარეთ არსებულ სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ახალი ფორმები. საერთო ძალისხმევა აუცილებლად მიგვიყვანს მიზნამდე.

ესაუბრა ელგუჯა ბერიშვილი.

# ლუდი + შვიდკაცა = HONG KONG

წელიწადში ერთხელ დიდი ბრიტანეთის ჩინური სამფლობელო ჰონკონგი მთელი მსოფლიოს რაგბის ქომაგთა გულისყურს მიიპყრობს ხოლმე: მარტის დამლევს ან აპრილის დამდეგს, ერთ შაბათ-კვირას ამ ქალაქში იმართება ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო საშვიდკაცო შეჯიბრება.

ჰონკონგის შვიდკაცა 1976 წლიდან ეწყობა. მისი დაწესების თაოსანი რაგბის მოყვარული ორი ჰონკონგელი საქმოსანი იყო. მათ სურდათ, ისეთი რამ მოეფიქრებინათ, რაც ჰონკონგის არამკვიდრი მოსახლეობისათვის, ე.ი. ბრიტანელებისათვის, ავსტრალიელებისა და ახალზელანდიელებისათვის დღესასწაულად იქცეოდა. ასე გაიმართა პირველი ერთდღიანი შეჯიბრება, რომელშიც ბრიტანეთის, ავსტრალიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის 12 გუნდი ჩაება და რომელმაც მხოლოდ 3 ათას მაყურებელს მოუყარა თავი.

ტურნირის პოპულარობამ თანდათან იმატა. 1984 წლიდან მოყოლებული შეჯიბრება ორ დღეს გრძელდება და მასში 24 გუნდი მონაწილეობს. მსოფლიო რაგბის ბუმბერაზებს, აგრეთვე აზიის რაგბის კავშირის წევრ ქვეყნებს — იაპონიას, კორეას, ტაივანს, სინგაპურს, მალაიზიას, შრი ლანკას, ტაილანდს, და კიდევ ოკეანეთელ რაგბის ჯადოქრებს — ფიჯის, სამოასა და ტონგას გუნდებს მიწვევა პერსონალურად ეგზავნებათ, დარჩენილ ადგილებს კი ორგანიზატორები ალალბედზე ავსებენ. ერთხელ, 1990 წელს საქართველომაც სცადა მონაწილეთა შორის ამოეყო თავი, მაგრამ მის განაცხადს ჰონკონგის რაგბის კავშირმა წაუყრუა. სამაგიეროდ, სულ სხვა არხებით ჰონკონგში შარშან პირველად გამოჩნდნენ საბჭოთა „დათვები", რომელთა შორის ქუთაისელები — მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი და მოთამაშე ნუგზარ ძაგნიძეც იყვნენ. მაშინ „დათვებმა" პაწაწკინტელა ტონგას გუნდთან წააგეს და უმთავრესი შეჯიბრების მიღმა დარჩნენ. აქვე დავძენთ, რომ „დათვები" წელსაც იყვნენ ჰონკონგში, ამჯერად — უქართველებოდ.



„სუუ-კუნ-პუუს" პანორამა

ორგანიზატორები 24 გუნდს სიძლიერის მიხედვით სამ კატეგორიად ჰყოფენ და 8 ქვეჯგუფად განთესავენ ხოლმე. შაბათს ქვეჯგუფებში ერთწრიანი ტურნირები ეწყობა და მეოთხედფინალური წყვილები დგება. კვირას ქვეჯგუფების გამარჯვებულები თასისთვის თამაშობენ, ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულები — ლანგრისთვის, „მაჩანჩალები" კი — ლარნაკისათვის. ერთი სიტყვით, ჯილდოები ოდენ პირველ, მეცხრე და მეჩვიდმეტე ადგილებზე გასულებს ერგებათ. დაგვეთანხმებით, ერთობ ორიგინალური რეგლამენტია!

რეგლამენტის შესაფერია განწყობილებაც, სარბიელზე — „სუუ-კუნ-პუუს" სტადიონზე ორი დღის განმავლობაში გათენებიდან დაღამებამდე რომ სუფევს: გადაჭედილ ტრიბუნებზე 28 ათასი კაცი ეტევა, მათგან 5 ათასამდე მამასისხლად ნაყიდი საგზურით ჩამოსული უცხოელია. ბევრია დიდვაჭარი და საქმოსანიც. ერთ-ერთს კიდეც უთქვამს, აქ ერთხელ ჩამოსვლით უფრო მეტ ჩემნაირს ვნახულობ და საქმესაც ვჩარხავ, ვიდრე 18 თვის მანძილზე აქეთ-იქით ფრენითო.

და მაინც, სტადიონზე არის ორი რამ, რაც გულგრილს ვერავის ტოვებს. ესენია დიდ მოედანზე გამართული საამოდ საცქერალი, ლაღი, სწრაფი, იმპულსური და არაქათგამცლელი შვიდკაციანი რაგბი და გემრიელი, მათრობელა ლუდი, რომლის გაყიდვაც დილის 9 საათიდან იწყება. ამიტომ ძნელი გასარკვევია, შეჯიბრება მეტად ვისა ღლის — მორაგბეებსა თუ ლუდის განუწყვეტელი ყლურწვით შეზარხოშებულ მოსეირეებს.

წლევანდელ ტურნირში, წინა შაბათ-კვირას რომ გაიმართა, მოულოდნელი ბევრი არაფერი მომხდარა. ერთი ეგ იყო, რომ ინგლისელ „ბარბაროსებს" — ეროვნული ნაკრების წევრებს ქარლინგს, გასქოთს, ანდერვუდს და მათს თანაგუნდელებს გაუჭირდათ გერმანიის გუნდის დამარცხება. საბჭოთა „დათვებმა" შოტლანდიასთან წააგეს — 6:20, თავის ქვეჯგუფში პირველ ნომრად განთესილი არგენტინა კი კანადასთან დამარცხდა — 0:26.

კვირისთვის თასის მეოთხედფინალები ასე შეივსო: ახალი ზელანდია — საფრანგეთი, შოტლანდია — კანადა, ფიჯი სამოა, „ბარბაროსები" — ავსტრალია. ფინალამდე ამათგან მიაღწიეს ფიჯიმ და ახალმა ზელანდიამ, იქ კი შარშანდელი ამბავი განმეორდა: ფიჯიმ გაიმარჯვა — ლელოებით 4:3, ქულებით 18:14 და ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს უძლიერესი საშვიდკაცო გუნდის ტიტული.

ზაალ გიგინეიშვილი



ტრიბუნათა ახალი ხედი

**ფეხბურთი**

# ევროპული ტურნირების ახალი რეგლამენტი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა ვაჟთა საკლუბო გუნდებს შორის კონტინენტის ჩემპიონატის დებიუტი. ეს შეჯიბრება პირველად 1991-92 წლების სეზონში ჩატარდება.

შეჯიბრებაზე დაიშვება 32 კლუბი. ეროვნულ ჩემპიონებს სამი ქვეყნის (ესპანეთი, იტალია, იუგოსლავია) ჩემპიონატების მეორე პრიზიორებიც დაემატებიან. თავიდან საკვალიფიკაციო თამაშები ჩატარდება. კენჭისყრით გაირკვევა ხუთი წყვილი. გუნდები შინ და სტუმრად თითოჯერ ითამაშებენ ერთმანეთთან, ამის მერე ჩატარდება პირველი ეტაპის შეხვედრები: ხუთ წყვილში გამარჯვებულთ ცხრამეტი კლუბი შეუერთდება და ამგვარად შეიქმნება თორმეტი „დუეტი". მათ შორის გამარჯვებული კლუბები, ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალისტებთან ერთად იასპარეზებენ მეორე ეტაპზე, სადაც მონაწილეები ორ რვაგუნდიან ჯგუფებად დაიყოფიან. ამ ეტაპზე შეხვედრები ორ წრედ გაიმართება. ამის შემდეგ ბრძოლას ჯგუფებიდან თით-ოთხი საუკეთესო გუნდი განაგრძობს „ფლეი-ოფ" სისტემით ორ გამარჯვებამდე. საბოლოოდ კი ჩატარდება ნახევარფინალები და ფინალი.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ჩემპიონთა თასის გათამაშებას შეცვლის. ამავე დროს ჩატარდება ევროპის თასის გათამაშება — თასების მფლობელთა თასის ტურნირის მაგივრად. კორაჩის თასის გათამაშება უცვლელი დარჩება.

ტურნირების ახალი რეგლამენტი, რომლის მომხრეც იყო აღმასკომის 19 წევრი (ორმა თავი შეიკავა) საბოლოოდ დამტკიცდება 26 მაისს, სოფიაში, ფიბას ევროპული კონფერენციის სხდომაზე.

# ტექნიკური შედეგები

## ძიუდო

ა. კიკნაძის სახელობის ჭაბუკთა მე-VI საერთაშორისო ტურნირი. თბილისი. ჭაბუკები. 42 კგ.

1 მ. აბაშიძე (საქართველო); 2. ი. ბუროკი (გერმანია); 3. ს. ივენიუსკო (სსრკ) და გ. ჯაფარიძე (საქართველო). 53 კგ. 1. უ. სულთანოვი (სსრკ); 2. ა. ბერიძე; 3. ვ. ჩანადირი (ორივე საქართველო) და ვ. სოტნიკოვი (სსრკ). 57 კგ. 1 გ. რევაზიშვილი (საქართველო); 2. ვ. ნეტანოვი (სსრკ); 3. ა. ნოვალოვსკი და დ. ფუხაშვილი (ორივე საქართველო). 62 კგ. 1. გ. გაზაგაშვილი; 2.ა. აბრამიშვილი; 3.ა. გვარლიანი და ა. ხარებაშვილი (ყველა საქართველო). 68 კგ. 1. მ. თუხარაული; 2. ი. ონიანი; 3. ო. კახიანი (ყველა საქართველო) და ჭ. გასანოვი (სსრკ). 75 კგ. 1. ა. ლვინიაშვილი (საქართველო); 2.მ. ვეტროვი (სსრკ); 3. მ. ჯანაშვილი (საქართველო) და ვ. გურელცევი (სსრკ). 83 კგ. 1. დ. მოროზოვი (სსრკ); 2. თ. ციმაკურიძე; 3. რ. ჩოჩიშვილი და ზ. სილაგაძე ყველა საქართველო). 90 კგ. 1. ი. ჟელუტკოვი (სსრკ); 2. ა. მეშველიანი (საქართველო); 3. ს. კნიაზკინი (სსრკ) და ი. ჯაფარიძე (საქართველო). 90 კგ. ა. დპვითაშვილი (საქართველო); 2. ე. ჩირკოვი (სსრკ); 3. ზ. გოგაშვილი (საქართველო) და ფ. ფორმანი (გერმანია).

გოგოები. 45 კგ. 1. რ. კომაროვა; 2. სმიხაილიუკ; 3. მ. ლობზანოვა და ი. კბილოვა (ყველა — სსრკ). 48 კგ. 1. ი. სოკოლოვსკაია; 2.გ. ტომევი; 3. ა. რიზტიჩი და ა. ხაჩატრიანი (ყველა — სსრკ). 52 კგ. 1. ტ. მისკოვსკაია (სსრკ); 2. ე.კრაუზე (პოლონეთი); 3. გ. მარკოსიანი (სსრკ) და ქ. ბუკიაშვილი (საქართველო). 56 კგ. 1. ე. კუდრიავცევა; 2. ლ.კრისტავცევა; 3. ი. ბაბაჯანი და ნ. პავლოვა (ყველა — საქართველო). 61 კგ. 1.ა. უტკოვა; 2. ტ. ფლიმანოვა (ორივე — სსრკ); 3. რ. ზარნო (პოლონეთი) და გ. ტოგმოსიანი (სსრკ). 66 კგ. 1. მ. სვეტკოვიჩი (პოლონეთი); 2. ი. მინკოვსკაია; 3. ო. მარტინოვა და ი. მურაშინა (ყველა — სსრკ). 72 კგ. 1. ო. ვორობიოვა (სსრკ); 2. ა. ლომიძე (საქართველო); 3. ნ. ოკრენიკოვა და ნ. დონგუზაშვილი (საქართველო); 2. ვ. სკინდინა; 3. ი. იანვინა და ე. ზადოიე (ყველა — სსრკ).

## სამთო თხილამურები

საქართველოს ჩემპიონატი 12-22 მარტი. ბაკურიანი (გაცნობებთ მხოლოდ ჩემპიონთა ვინაობას). სუპერგიგანტი. (ტრასა — 2200 მ, 42 კარი). ქალები. ლელა ოგანეზოვა (ბაკურიანი) — 1.31,32. ჭაბუკები. I ჯგუფი (უმცროსი ასაკი). გიორგი ხვედელიძე (ბაკურიანი) — 1.36,72. II ჯგუფი (საშუალო ასაკი). ალექსანდრე თიბილოვი (თბილისი) — 1.33,25. III ჯგუფი (უფროსი ასაკი). ლევან აბრამიშვილი (თბილისი) — 1.28,03. სუპერგიგანტი (განმეორებით). ქალები. მეგი მაისურაძე (ბაკურიანი) — 1.30,22. ჭაბუკები. I ჯგუფი. ხვედელიძე — 1.31,22. II ჯგუფი. გელა კოზანაშვილი (ბაკურიანი) — 1.31,33. III ჯგუფი. აბრამიშვილი — 1.26,33. გიგანტური სლალომი. (ტრასა — 1200 მ, 37 კარი). ქალები. ოგანეზოვა — 2.54,60. ჭაბუკები. I ჯგუფი. გოდერძი დადვანი (მესტია) — 2.58,86. II ჯგუფი. აბრამიშვილი — 2.45,34. სპეციალური სლალომი. (ტრასა — 690 მ, 62 კარი). ქალები. ოგანეზოვა — 1.33,38. ჭაბუკები. I ჯგუფი. ჯემალ გვარამაძე (ბაკურიანი) — 1.39,28. II ჯგუფი. ზურაბ ჯიჩოევი (ბაკურიანი) — 1.29,33. III ჯგუფი მალხაზ უდესიანი (მესტია) — 1.28,21.

## მძლეოსნობა

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი კროსში. ანტვერპენი. ქალები. 6425 მ. 1. ლინ ჯენინგსი (აშშ) — 20.24; 2. ტურუ დერარტუ (ეთიოპია) — 20.27; 3. ლიზ მაკკოლგენი (დიდი ბრიტანეთი) — 20.28; 4. ისეხაკ ლუჩია (ეთიოპია) — 20.29; 5. ჯეინ ნგოტო (კენია) — 20.30; 6. ალბერტინა დიაზი (პორტუგალია) — 20.40. გუნდური. 1. კენია — 36 საჯარიმო ქულა; 2. ეთიოპია — 36; 3. სსრკ — 48.

ვაჟები. 11764 მ. 1. ჰალიდ სკაჰი (მაროკო) — 33.53; 2. მოზეს ტანუი — 33.54; 3. სიმონ კარიუკი — 33.54; 4. რიჩარდ ჩელიმო — 33.57; 5. ოსორო ონდორო — 33.57; 6. სტეფან ნამუ (ყველა — კენია) — 34.01. გუნდური. 1. კენია; 2. ეთიოპია; 3. ესპანეთი.

## კალათბურთი

ჩემპიონთა თასი. ვაჟები XIII ტური. „მაკაბი" (ისრაელი). „პოპ-ი — 84 (იუგოსლავია) — 103:86, „კინგსტონი" (დიდი ბრიტანეთი)— „ბაიერი" (გერმანია) — 95:98, „ბარსელონა" (ესპანეთი) — „სკავოლინი" (იტალია) — 100:87, „ლიმოჟი" (საფრანგეთი) — „არისი" (საბერძნეთი) — 98:106.

უკანასკნელი მე-XIV ტურის წინ ლიდერობს „ბარსელონა"— 10 მოგება, „პოპი-84" — 8. „მაკაბი", „სკავოლინი" და „არისი" — 7-7, „ბაიერი" — 6, „კინგსტონი" — 4, „ლიმოჟი" — 3.

## ამერიკული ფეხბურთი

მსოფლიო ლიგა. 1 ტური. 23-25 მარტი.

„ფრანკფურტ გელექსი" („თანავარსკვლავედი") — „ლონდონ მონარქს" („ხელმწიფეები") 11:24; „ბერმინგემ ფაიარ" („ცეცხლი") — „მონრეალ მეშინ" („მანქანა") 5:20; „საკრამენტო სერჯ" („ზვირთი") — „რალი დარემ სქაიბოლ" („ქორები") 3:3; „ბარსელონა დრეგონს" („ურჩხულები") — „ნიუ-იორკ ნაითს" („რაინდები") 13:7; „ორლანდო სანდერ" („ჭექა-ქუხილი") — „სან-ანთონიო რეიდერზ" („ყაჩაღები") 35:34.

## ბურთიანი ჰოკეი

ნახევარფინალები. ფინეთი — სსრკ-2:3, შვეცია — ნორვეგია — 6:0. ფინალი. შვეცია — სსრკ — 3:4. მატჩი მესამე ადგილისათვის: ფინეთი — ნორვეგია — 8:0; მეხუთე ადგილისათვის: აშშ — კანადა — 13:0; მეშვიდე ადგილისათვის: ჰოლანდია — უნგრეთი — 4:1.




# დასრულებული ქრონიკა

## სსრ კავშირის IV ჩემპიონატი

1938 წელი.
„ა" ჯგუფი
10.5 — 14.11

რუბრიკას უძღვება აკაკი თბილელი

მატჩების რაოდენობა -325. გოლების რაოდენობა - 1175 (საშუალოდ 3,61 ერთ შეხვედრაში). ჩემპიონატში მონაწილეობდა 335 ფეხბურთელი

„მოწინავე საზოგადოებრივი წყობის" მქონე ქვეყანაში ყველაფერი უკეთესზე უკეთესი უნდა ყოფილიყო: ხუთწლედი - ყველაზე მოკლე (ისინი ჩვეულებრივ ოთხ წელიწადში „სრულდებოდა"), მშენებლობა - ყველაზე მძლავრი, არხი — ყველაზე ღრმა, საკონცენტრაციო ბანაკი — ყველაზე დიდი, უზარმაზარი ... მაშ, ფეხბურთი რა სხვაზე ნაკლები იყო? სპორტის ყველაზე საყვარელი, ყველაზე მასობრივი სახეობა რატომ არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ყველაზე ფართოდ უმაღლესთა ჯგუფში? თუ კი ძირმპალ ბურჟუაზიულ ინგლისში ჩემპიონატის ტიტულისათვის 22 გუნდი იბრძოდა,

ჩვენ რით ვიყავით მათზე ნაკლები?.. არა, ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, მაგრამ, ვფიქრობთ, მასში მაინც არის ჭეშმარიტების მარცვალი.

მაშ ასე, 10 მაისს 26 გუნდი გზას დაადგა. ჩემპიონატი ისევ ერთ წრედ ტარდებოდა. იყო ერთი სიახლეც: გამარჯვებისათვის გუნდებ უკვე 2 ქულა ეძლეოდათ, ფრედ ნათამაშევი მატჩისათვის — ერთი, წაგებისათვის კი ქულა საერთოდ არ ერიცხებოდათ. ეს ყველაფერი ჩემპიონატის დაწყების მეორე დღეს გამოცხადდა, რაც ასევე დამახასიათებელი ნიშანია იმ დროისათვის.

1938 წლის ჩემპიონატი განსაკუთრებით გამოირჩეოდა უხეშობით: ერთი სეზონის მანძილზე მსაჯებმა 60-მდე ფეხბურთელი გააძევეს მოედნიდან, რაც საკავშირო პირველობათა რეკორდია. კიდევ ერთი რეკორდი: თბილისის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩის დროს მინდვრიდან გააძევეს სამი მოსკოველი მოთამაშე! „მშვიდობა" არც ტრიბუნებზე იყო. ხარკოვში „სელმაშისა" და „მოსკოვის „დინამოს" შეხვედრის დროს მაყურებლები მოედანზე გაცვივდნენ. თამაში რამდენიმე ხნით შეაჩერეს წესრიგის დასამყარებლად. როსტოვიდან ადგილობრივი დინამოელებისა და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრის შემდეგ ასეთი ცნობა მოვიდა: „მატჩის დამთავრებისთანავე ასობით მაყურებელი ყვირილითა და სტვენით გამოვარდა მოედანზე. ხულიგნებმა ტალახის გუნდები დაუშინეს „ტორპედოს" მოთამაშეებს. როსტოვში ეს სამარცხვინო ამბავი მეორდება თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ". მიუხედავად ამისა, როსტოვის სტადიონისათვის ერთხელაც არ მიუციათ დისკვალიფიკაცია. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არ ყოფილა. მე ამას იმათ საყურადღებოდა ვწერ, ჩვენი ფეხბურთის წარსულის გაიდეალებას რომ ცდილობენ ხოლმე.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები გათამაშების დებულებას. იქ ასეთ სტრიქონებსაც ამოიკითხავდით: „ბოლო ადგილებზე გასული ორი გუნდი ეთიშება „ა" ჯგუფს და იცვლება ორი ახალი კოლექტივით". ესე იგი, შემდეგი წლისთვისაც აპირებდნენ 26 გუნდის შენარჩუნებას. მაგრამ უკვე ორი თვის შემდეგ, შუა ჩემპიონატში, ახალი გადაწყვეტილება მიიღეს: ასპარეზობას ეთიშება არა 2, არამედ 14 (!) გუნდიო. დამთავრდა ჩემპიონატი და ... შეჯიბრებას 14-ის ნაცვლად გამოეთიშა 12 კლუბი (ლენინგრადის „ელექტრიკი" და „სტალინეცი" შეეცოდათ.) ერთი სეზონის მანძილზე გათამაშების დებულება სამჯერ შეიცვალა! ასეთი რამ ჩვენს ფეხბურთში არასოდეს მომხდარა. ამიტომ ესეც რეკორდად უნდა ჩავთვალოთ. კიდევ ერთი „მიღწევა": მას შემდეგ უმაღლესთა ჯგუფს ერთბაშად 12 გუნდი არასდროს გამოხთიშვია.

თუმცა, ვატყობ, რეკორდებით გატაცებულს, ჩემპიონატის სპორტული ნაწილი სულ გამომრჩა მხედველობიდან. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული ტურნირი. გუნდების საკმაოდ დიდი ჯგუფი მთელი ტურების მანძილზე მორიგეობით ცვლიდნენ ერთმანეთს. რათა მკითხველმა უფრო ნათლად წარმოიდგინოს სატურნირო ცხრილში შექმნილი ვითარება, მე მას... რიგში დგომას შევადარებ არა, ცივილიზებულ, დარბაისლურ რიგს კი არა, სადაც ხალხი ერთიმეორის უკან მოთმინებით, წესიერად დგას და იცდის, არამედ ჩვენს მშობლიურ სოციალისტურ რიგს, ერთ კვადრატულ მეტრზე 15-20 კაცი რომ „იცავს თავის უფლებებს" და ვერ გაიგებ, მათგან რომელი უფრო ახლოა დახლთან. მაღაზიის რიგშიც და სატურნირო ცხრილშიც თითოეული ცდილობს როგორმე მისწი-მოსწიოს დანარჩენები და თვითონ გაიკაფოს გზა. მართალია, მიზნის მიღწევის საშუალებები სხვადასხვაა: რიგში მოქნილი და ძლიერი ხელებია საჭირო, ფეხბურთში — ფეხები. და აი, სწორედ ფეხებით კარგა დიდი ხნის მანძილზე მეტად მარჯვე მანიპულაციებს ატარებდა ათამდე გუნდი მაინც. ცხრა ტურის შემდეგ პირველსა და მეცხრე ადგილებს შორის სხვაობა ერთადერთი ქულა იყო! თხუთმეტი ტურის შემდეგ პირველ შვიდეულს მხოლოდ ორი ქულა აშორებდა ერთმანეთს. ამ შვიდეულში იყვნენ თბილისის დინამოელები. მათთვის გადამწყვეტი გამოდგა მე-16 ტურის მატჩი ლიდერთან, მოსკოვის "სპარტაკთან". დინამოელები თავიანთ მინდორზე თამაშობდნენ და, რომ მოეგოთ, ლიდერს დაეწეოდნენ. მაგრამ საქმე გაძნელდა. 55—ე წუთისთვის მასპინძლები აგებდნენ - 1:2 და აი, ამ დროს ოთხ წუთში მათ კარში ზედიზედ კიდევ სამი გოლი გავიდა. 1:6. ამ წაგებამ ფსიქოლოგიურად გატეხა თბილისელები და შემდეგ ხუთ მატჩში ორი ქულის მეტი ვეღარ მოიპოვეს. მართალია, დინამოელებმა ოთხი ბოლო შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა და მხოლოდ მეექვსე ადგილი ხვდათ. ჩემპიონობისათვის ბრძოლა ბოლო დღეებამდე გრძელდებოდა. ფინიშამდე ორი ტურით ადრე „სპარტაკს", ცდკა—ს და „მეტალურგს" 35—35 ქულა ჰქონდათ, ხოლო კიდევ ერთი ტურის შემდეგ — 37—37. „სპარტაკმა" თავისი ბოლო მატჩი მოიგო, ცდკა—მ სტუმრად დათმო შეხვედრა კიევის „დინამოსთან" — 1:2, „მეტალურგმა" კი თბილისში ჩვენს დინამოელებთან — 2:3. მოსკოველებს, ცხადია, გული დასწყდათ. ტურნირი გუნდმა ძლიერად ჩაატარა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საუკეთესო თავდამსხმელი გ.ფედოტოვი ცდკა-ში გადავიდა. იგი შეცვალა ს.კაპელკინმა, რომელმაც ჩემპიონატში 18 ბურთი გაიტანა. მას მხოლოდ ერთი გოლით აჯობეს ტურნირის საუკეთესო ბომბარდირებმა გ.ფედოტოვმა და ა.პონომარიოვმა (სტალინგრადის „ტრაქტორი"). კაპელკინმა ზედიზედ სამ მატჩში შეასრულა „ჰეტ-ტრიკი". ეს რეკორდი დღემდე არავის გაუმეორებია. თბილისელებთან კი „მეტალურგმა" წააგო, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან დაწინაურდა. გამარჯვების შემთხვევაში იგი ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებდა (მოსკოვის „სპარტაკთან" დანიშნული ხელახალი მატჩი უნდა მოეგო), ახლა კი მესამე ადგილზე გადაინაცვლა. განაწყენებულმა მოსკოველებმა შეხვედრა გააპროტესტეს მათს კარში ვითომდა არაობიექტურად დანიშნული პენალტის გამო. მაგრამ პროტესტი არ მიიღეს. რაკი სიტყვამ მოიტანა, IV ჩემპიონატი სარეკორდო იყო როგორც შეტანილი (20—ზე მეტი), ასე დაკმაყოფილებული (3) პროტესტების რაოდენობითაც. უფრო ზუსტად, დააკმაყოფილეს ხუთი პროტესტი მაგრამ ორი მატჩი არ გაუთამაშებიათ. ერთი სიტყვით, დიდი არეულობა იყო.

რამდენიმე სიტყვა ქართული ფეხბურთის მეორე წარმომადგენელზე — თბილისის „ლოკომოტივზე". ახალბედამ ტურნირი რიგიანად დაიწყო და ექვს მატჩში 7 ქულაც მოაგროვა. მაგრამ ამას მოჰყვა ზედიზედ 7 წაგება, რომლის შემდეგაც გუნდი წელში ვეღარ გასწორდა და კუდში მოექცა სატურნირო ცხრილს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაგალითად, ბ.ჩიტაიამ და ს.ნინუამ 11—11 გოლი გაიტანეს, თბილისელთა მეორე თავდამსხმელმა გ.კარამატოზიანმა კიევის „ლოკომოტივთან" შეხვედრაში ოთხჯერ აიღო მეტოქის კარი. კარამატოზიანამდე ეს მხოლოდ მოსკოვის სპარტაკელმა ვ.სემიონოვმა და გ.ფედოტოვმა შეძლეს. მართალია, 1938 წელს ლენინგრადის „სპარტაკის" მოთამაშე ე.შელაგინმა ერთ-ერთ მატჩში 5 ბურთი გაიტანა. ეს რეკორდი ჯერაც არ არის მოხსნილი, თუმცა შემდეგში რამდენიმე ფეხბურთელმა შეძლო მისი გამეორება. უნდა ითქვას, რომ რეკორდი თბილისის „ლოკომოტივმაც" შემოგვთავაზა: სეზონის მანძილზე რკინიგზელმა ფეხბურთელებმა მეტოქეთა კარში 21 პენალტი გაიტანეს! ისინი თერთმეტმეტრიანს ურტყამდნენ საშუალოდ თითქმის ყოველ მატჩში.ეს რეკორდი, რაღა თქმა უნდა. ჯერაც არ არის მოხსნილი და საეჭვ[illegible]ა, რომ ოდესმე მოხსნან ვინმემ საერთოდ 1938 წელს მსაჯები ძალიან ხშირად უთითებდნენ 11—მეტრიანის ნიშნისაკენ — სულ დაინიშნა 177 პენალტი. ეს საკავშირო რეკორდია.

ახლა კი წარმოგიდგენთ 1938 წლის ჩემპიონს — „სპარტაკს": ა.სკოლოვი (25 მატჩი, 18 ბურთი), გ.გლაზკოვი (25,12), ვიქ.სოკოლოვი (25), ან.სტაროსტინი (24), გ.სტეპანოვი (23,12), გ.ტუჩკოვი (23,2), ვლ.სოკოლოვი (23), ვ.სემიონოვი (20,12), ს.არტემიევი (16),ვ.ჟმელკოვი (13), პ.კორნილოვი (11,9), ს.ლეუტა (10,1), ნასევი (9,2), ნ.გულიაევი (7,2), ა.კვასნიკოვი (8), ა.გოლოვკინი (7), ა.კასიმოვი (6,3), პ.სტაროსტინი (5), პ.ლაპშინი (4,1), პ.პეტროვი (1), ნ.მოროზოვი (1), მწვრთნელი — კ.პ. კვაშნინი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი", მოსკოვი | | 3 | 4 | 74:19 | 39 |
| 2. | ცდკა | | 3 | 5 | 52:24 | 37 |
| 3. | „მეტალურგი", მოსკოვი | | 5 | 4 | 57:29 | 37 |
| 4. | „დინამო", კიევი | | 6 | 4 | 76:35 | 36 |
| 5. | „დინამო", მოსკოვი | | 4 | 7 | 69:34 | 32 |
| 6. | „დინამო", თბილისი | | 9 | 5 | 54:39 | 31 |
| 7. | „დინამო", ლენინგრადი | | 6 | 7 | 52:32 | 30 |
| 8. | „ლოკომოტივი", მოსკოვი | | 6 | 7 | 44:37 | 30 |
| 9. | „ტორპედო", მოსკოვი | | 11 | 5 | 51:38 | 29 |
| 10. | „დინამო", ოდესა | 5 | 11 | 5 | 39:35 | 29 |
| 11. | „სტახანოვეცი", სტალინგრადი | 11 | 7 | 7 | 56:51 | 29 |
| 12. | „ტრაქტორი", სტალინგრადი | 12 | 3 | 10 | 53:48 | 27 |
| 13. | „ელექტრიკი", ლენინგრადი | 8 | 8 | 9 | 42:44 | 24 |
| 14. | „სტალინეცი", ლენინგრადი | 7 | 10 | 8 | 38:57 | 24 |
| 15. | „სელმაში", ხარკოვი | 8 | 6 | 11 | 34:45 | 22 |
| 16. | „სტალინეცი", მოსკოვი | 8 | 5 | 12 | 36:44 | 21 |
| 17. | „ლოკომოტივი", კიევი | 8 | 5 | 12 | 43:64 | 21 |
| 18. | „დინამო", როსტოვი | 7 | 6 | 12 | 39:43 | 20 |
| 19. | „ტემპი", ბაქო | 6 | 8 | 11 | 33:40 | 20 |
| 20. | „სპარტაკი", ლენინგრადი | 6 | 8 | 11 | 30:39 | 20 |
| 21. | „სპარტაკი", ხარკოვი | 5 | 7 | 13 | 43:63 | 17 |
| 22. | „ზენიტი-2", ლენინგრადი | 7 | 3 | 15 | 35:57 | 17 |
| 23. | „პიშჩევიკი", მოსკოვი | 5 | 6 | 14 | 25:53 | 16 |
| 24. | „ლოკომოტივი", თბილისი | 5 | 5 | 15 | 44:62 | 15 |
| 25. | „კრილია სოვეტოვი", მოსკოვი | 4 | 7 | 14 | 28:56 | 15 |
| 26. | „ბურევესტნიკი", მოსკოვი | 4 | 4 | 17 | 28:87 | 12 |

თბილისის „დინამო" 1938 წლის სეზონში ასეთი შემადგენლობა გამოდიოდა:

ვ.ჭორბენაძე (25), ბ.პაიჭაძე (24,14), შ.შავგულიძე (24), მ.ბერძენიშვილი (23,13), ვ.ბერეჟნოი (22,7), ნ.სომოვი (21,3), გ.ჯეჯელავა (20,7), ადორონოვი (18), ბ.ფროლოვი (18,1), გ. ნიკოლაიშვილი (14), ა.კიკნაძე (13), მ.მინაევი (12,1), გ.ჭუმბურიძე (11), გ.გაგუა (9) თ.გავაშელი (8,2), ა.ტყებუჩავა (8), ლ.ლოლაძე (7,3), მ.აფრიდონიძე (4,2), ვ.ბერძენიშვილი.

ორი ბურთი საკუთარ კარში გაიტანეს გ.ხარლამოვმა (ხარკოვის „სპარტაკი") და ან. სტაროსტინმა (მოსკოვის „სპარტაკი").

თბილისის „ლოკომოტივის" მოთამაშეთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობის დაზუსტება არ მოხერხდა. გთავაზობთ გუნდის შემადგენლობაში გამოსული ყველა ფეხბურთელის გვარს და მათ მიერ გატანილი გოლების რაოდენობას: ბ.ჩიტაია — 11, ს.ნინუა — 11, ი.ჩერედნიჩენკო — 5, გ.კარამატოზიანი — 5, მ.ჩახუნაშვილი — 3, ს.სიხარულიძე — 2, კიმნაძე — 2, ვ.პანიუკოვი — 2, გ.ეგიაზაროვი — 1, გ.ჟდანოვი — 1, ლ.მილოვი (ხარკოვის „სპარტაკი", საკუთარ კარში) — 1, ს.შუდრა, იპანინი, საკოპოვი, მ.ლევინიაშვილი, მ.ბოლოტინი, ა.ჩიქოვანი, ნ.ჩხარტიშვილი, შ.ჩხარტიშვილი, ავორონოვი, შ.ჭორბენაძე, გ.ჭელიძე, ეარშნი, ჟ.რამიშვილი, მწვრთნელი ნ.ლარიონოვი.

## ინგლისი

მორიგი ტურის მატჩების შემდეგ „ლივერპულმა“ კვლავ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ლივერპულელები ლონდონში აუტსაიდერს „დერბი ქაუნთის“ შეხვდნენ. ანგარიში მე-7 წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით დანიელმა იან მოლბიმ გახსნა. „დერბიმ“ ასევე პენალტით გაიტანა საპასუხო ბურთი (სონდერსი), მაგრამ „ლივერპულმა“ პირველ ტაიმში კიდევ ორი გოლის გატანა შეძლო (ბარნსი და რაში). მეორე ტაიმში ისევ ბარნსმა, ნიკოლმა (ორჯერ) და ჰაუტონმა განამტკიცეს „ლივერპულის“ გამარჯვება — 7:1.

წაიფორხილა „არსენალმა“, რომელმაც ვერ შეძლო სტუმრად „ნორიჩ სიტის“ დამარცხება (0:0). მანამდე 25-ე ტურის გამოტოვებულ მატჩში „არსენალმა“ შინ ფრედ (1:1) ითამაშა „ნოტინგემ ფორესტთან“.

მესამე ადგილზე კვლავ „კრისტალ პალასია“, რომელმაც მეოთხე ადგილზე მყოფი „ლიდს იუნაიტედს“ მოუგო — 2:1. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამარცხა „ლუტონ თაუნი“ — 4:1 (ბრუსი — 2, მაკლერი, რობინსი).

„უიმბლდონის“ ფეხბურთელმა კორკმა „შეფილდთან“ შეხვედრაში გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში „უიმბლდონის“ საუკეთესო ბომბარდირმა ფაშანუმ ყველასათვის მოულოდნელად ხელით მოიგერია ბურთი საკუთარ საჯარიმო მოედანზე და „შეფილდის“ ფეხბურთელმა დინმა ზუსტად დაარტყა პენალტი. მატჩის ბოლოს ფაშანუ საკუთარ კართან კიდევ ერთხელ შეეხო ბურთს ხელით, მაგრამ ამჯერად მსაჯმა „დაინდო“ „უიმბლდონის“ ფეხბურთელი.

დანარჩენი მატჩები: „ტოტენჰემ ჰოთსპური“ — „ქუინს პარკ რეინჯერსი“ 0:0, „სანდერლენდი“ — „ასტონ ვილა“ 1:3, „ევერტონი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 0:0, „ჩელსი“ — „საუთჰემპტონი“ 0:2, „კოვენტრი სიტი“ — „მანჩესტერ სიტი“ 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 29 | 19 | 6 | 4 | 59-25 | 63 |
| „არსენალი“ | 29 | 18 | 10 | 1 | 51-13 | 62 |
| „კრისტალ პალასი“ | 30 | 17 | 7 | 6 | 41-33 | 58 |
| „ლიდსი იუნაიტედი“ | 28 | 13 | 7 | 8 | 41-30 | 46 |
| „მანჩესტერ იუნ.“ | 30 | 12 | 10 | 8 | 46-35 | 45 |

## საფრანგეთი

31-ე ტურში ლიდერი, „მარსელი“ შინ შეხვდა „სოშოს“. „მილანთან“ ჩატარებული დაძაბული მატჩის შემდეგ „მარსელს“ დაღლილობა ეტყობოდა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა (0:0). წარუმატებლად ითამაშა მეორე ადგილზე მყოფმა „ოსერმაც“, რომელიც ლიონში დამარცხდა, ადგილობრივ გუნდთან (0:1). გოლი გიომ მასონმა გაიტანა.

მეორე ადგილზე გადაინაცვლა „მონაკომ“, რომელმაც სტუმრად, დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ტულუზა“ — 2:1. ანგარიში მე-5 წუთზე ტულუზელმა დესპერუმ გახსნა, მაგრამ ჯერ პასიმ (42-ე წუთზე) და შემდეგ რუი ბარუშმა (46-ე წუთზე) გამარჯვება მოუტანეს „მონაკოს“. მატჩის ბოლო წუთზე „ტულუზას“ ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ არგენტინელმა ფეხბურთელმა მარსიკომ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

მორიგი დამარცხება იწვნია „ბორდომ“, რომელიც ახლა მე-17 ადგილზეა. „ბორდომ“ შინ წააგო „ბრესტთან“ — 1:4. სტუმართაგან გოლები გაიტანეს მარტენსმა, კლოარეკმა, პიერმა და მილოევიჩმა, ერთადერთი საპასუხო ბურთი „ბორდოს“ ბელგიელმა ნახევარმცველმა პატრიკ ვერვოორტმა გაიტანა.

„კაენმა“ მოუგო „რენს“ — 2:0 (ლებურჟუა და ჟერმენი). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „კანი“ — „სენტ-ეტიენი“ 0:1, „ლილი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:0, „მეცი“ — „მონპელიე“ 0:0, „ნიცა“ — „ნანსი“ 3:0, „ნანტი“ — „ტულონი“ 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარსელი“ | 31 | 19 | 7 | 5 | 64-21 | 45 |
| „მონაკო“ | 31 | 15 | 10 | 6 | 37-24 | 40 |
| „ოსერი“ | 31 | 15 | 9 | 7 | 52-30 | 39 |
| „მონპელიე“ | 31 | 12 | 10 | 9 | 42-30 | 34 |
| „კანი“ | 31 | 10 | 13 | 8 | 26-24 | 33 |

## გერმანია

22-ე ტურის შემდეგ გერმანიის ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს — „კაიზერსლაუტერნი“, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნს“ მოუგო — 2:1. ამ მაინტერესო შეხვედრას 39 ათასი მაყურებელი დაესწრო. მატჩის პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს (ვოლფარტი). მეორე ტაიმში „კაიზერსლაუტერნის“ იერიშები წარმატებით დამთავრდა — 60-ე წუთზე პოტიჩმა ანგარიში გაათანაბრა. 75-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს „ბაიერის“ თავდამსხმელი ბენდერი და სტუმრებმა თამაში 10 ფეხბურთელით დაამთავრეს. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კუნცმა გამარჯვება მოუტანა „კაიზერსლაუტერნს“ — 2:1.

„„ვერდერმა“ შინ ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი „აინტრახტთან“ მიოლერის გოლს მასპინძლებმა შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე უპასუხეს (ნოიბარტი).

სხვა მატჩები: „კარლსრუე“ — „ნიურნბერგი„ 2:1, „ფორტუნა“ — „ჰერტა“ 4:2, „ბოხუმი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:2, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ჰამბურგი“ 1:1, „ზანქტ-პაული“ — ბაიერი“ (ლევერკუზენი) 1:0, „შტუტგარტი„ — „ბაიერი“ (უნდინგენი) 3:1, „კიოლნი“ — „ვატენ-შაიდი“ 1:1.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კვლავ როლანდ ვოლფარტია („ბაიერნი“) — 16 გოლი. მეორე ადგილზეა ანდრეას მიოლერი („აინტრახტი“) — 11 გოლი, მესამე ახალზელანდიელი უინტონ რუფერი („ვერდერი“) — 10 გოლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაიზერსლაუტერნი“ | 22 | 12 | 6 | 4 | 44-31 | 30 |
| „ბაიერნი“ | 22 | 12 | 5 | 5 | 48-28 | 29 |
| „ვერდერი“ | 22 | 11 | 7 | 4 | 31-20 | 29 |
| „ჰამბურგი“ | 22 | 11 | 4 | 7 | 31-24 | 26 |
| „აინტრახტი“ | 22 | 8 | 9 | 5 | 34-23 | 25 |



ვოლფარტს მორიგი გოლი გააქვს მეტოქის კარში

## ფეხბურთის რუქასთან

ესპანეთის ჩემპიონატის 27-ე ტურში „ბარსელონა“ ხიხონში დამარცხდა ადგილობრივ „სპორტინგთან“ 0:1. ეს მიმდინარე ჩემპიონატში ლიდერის მესამე წაგებაა.

გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ხრისტო სტოიჩკოვმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

დამარცხების მიუხედავად, „ბარსელონა“ 44 ქულით კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. 40 ქულა აქვს „ატლეტიკოს“, რომელმაც ფრედ (1:1) ითამაშა სტუმრად „ბურგოსთან“, მადრიდელთაგან გოლი მანოლომ გაიტანა.

მესამე ადგილზეა პამპლონის „ოსასუნა“ — 33 ქულა. „ოსასუნამ“ მოუგო „კასტელიონს“ — 2:0.

მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ალფრედო დი სტეფანომ მოსკოვის „სპარტაკთან“ დამარცხების შემდეგ განაცხადა, რომ ტოვებს გუნდს. სეზონის ბოლომდე „რეალს“ იუგოსლაველი რადომირ ანტიჩი უხელმძღვანელებს. ამ სამი თვის განმავლობაში ანტიჩი 20 მილიონ პესეტას მიიღებს, და კიდევ 10 მილიონს, თუ „რეალი“ უეფას თასის ადგილს მოიპოვებს. ეს მაშინ, როცა „რეალის“ ხელმძღვანელობა გუნდის ყოფილ მწვრთნელს ჯონ ტოშაკს პრემიის სახით მხოლოდ 5 მილიონ პესეტას პირდებოდა, თუ გუნდი ესპანეთის ჩემპიონი გახდებოდა.

ბოლო ტურში, ანტიჩის ხელმძღვანელობით, მადრიდის „რეალმა“ შინ ვერაფერი გააწყო „ოვიედოსთან“ — 1:1, თუმცა ბოლო ოცი წუთის განმავლობაში რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა — მოედნიდან გააძევეს „ოვიედოს“ ფეხბურთელი ელკაჩო.

ახალი მწვრთნელი ჰყავს ბილბაოს „ატლეტიკსაც“ — კლემენტე ინიაკი საესმა შეცვალა. კვირას ბილბაოელებმა დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვეს, მათ დაამარცხეს „სევილია“ — 2:0.

შემდეგ ტურში „ბარსელონა“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს.

**უეფა-ს პრეზიდენტმა ლენარდ იუჰანსონმა თქვა, რომ „ლივერპულს“ უკვე მიმდინარე წლის შემოდგომიდან მიეცემა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლება. „ვფიქრობ, რომ „ლივერპული“ მომავალ სეზონში გამოჩნდება საერთაშორისო სცენაზე, თუმცა დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი“, თქვა იუჰანსონმა. „ლივერპულის“ დაშვების საკითხი განიხილება უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 18 აპრილს გაიმართება ლონდონში. ამავე სხდომაზე განიხილება ევროპული ტურნირების ჩატარების ახალი პროექტი. მეოთხედფინალში გასული 8 გუნდი ორ ჯგუფში წრიული სისტემით ითამაშებენ, ხოლო ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.**

**უეფა-მ იტალიის „მილანს“ ერთი სეზონით აუკრძალა საკლუბო ტურნირებში თამაში. ეს გადაწყვეტილება გუშინწინ მიიღო უეფა-ს კონტროლისა და დისციპლინის კომისიამ. ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალურ მატჩში, მარსელში, „მილანის“ ფეხბურთელებმა თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე დატოვეს მოედანი, როცა სტადიონზე პროჟექტორები გამოირთო.**

**უეფა-ს გადაწყვეტილებით „მილანის“ დელეგაციის ხელმძღვანელს გალიანის 1993 წლის ივლისამდე აეკრძალა ნებისმიერი უეფა-სთან დაკავშირებული ოფიციალური თანამდებობის დაკავება.**

**„მარსელი“ მატჩის ცუდი ორგანიზაციისათვის 17 ათასი დოლარით დაჯარიმდა.**

**გუნდებს თვის ბოლომდე შეუძლიათ აპელაციის შეტანა. „მილანის“ პრეზიდენტმა ბერლუსკონიმ თქვა, რომ გააპროტესტებს უეფა-ს გადაწყვეტილებას.**

**უეფა-მ დრეზდენის „დინამოს“ ორი წლით აუკრძალა ევროპის საკლუბო ტურნირებში თამაში. „დინამოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მატჩში მაყურებლები სხვადასხვა საგნებს ესროდნენ ფეხბურთელებსა და პოლიციელებს, რის გამო მატჩი 78-ე წუთზე შეწყდა. უეფა-მ დაადგინა, რომ მატჩის წინ მომხდარ არეულობაში იუგოსლაველი გულშემატკივრებიც მონაწილეობდნენ და „ცრვენა ზვეზდა“ 11 ათასი დოლარით დაჯარიმა.**

## ევროპის ჩემპიონატი

### II ჯგუფი

**შოტლანდია — ბულგარეთი 1:1**
**სან-მარინო — რუმინეთი 1:3**

მატჩი გლაზგოში ისეთივე ანგარიშით დამთავრდა, როგორითაც ამ გუნდების პირველი შეხვედრა სოფიაში — 1:1. შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში არ თამაშობდა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მოუ ჯონსტონი, რომელმაც მატჩამდე ორი დღით ადრე კისრის ტრავმა მიიღო.

ორივე გოლი მატჩის მიწურულს გავიდა — 84 წუთზე ჯონ კოუანსმა, რომელიც მეორე ტაიმში გამოვიდა მოედანზე, წინ გაიყვანა მასპინძლები. 90 წუთზე ბულგარელთა ერთ-ერთი სახიფათო შეტევის დროს მეკარე გორამმა საჯარიმო მოედანზე წააქცია ტანევი, მაგრამ რადგან ბურთს ბულგარელები დაეუფლნენ, მსაჯმა თამაში არ შეაჩერა და პორტუგალიის „პორტუს„ თავდამსხმელმა კოსტადინოვმა ანგარიში გაათანაბრა 1:1.

3 აპრილს შვეიცარიის ნაკრები რუმინეთის გუნდს უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 6 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 4 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 10-6 | 4 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 4 |
| სან-მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |

### IV ჯგუფი

**იუგოსლავია — ჩრდილოეთ ირლანდია 4:1**

IV ჯგუფის ლიდერმა იუგოსლავიის ნაკრებმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიცია. ბელგრადში, მასპინძლებმა მეტოქეს გამარჯვების შანსიც კი არ დაუტოვეს. მატჩის პირველი გოლი 35-ე წუთზე გავიდა — ბაზდარევიჩის მიერ ჩამოწოდებულ ბურთს ბინიჩი დახვდა და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. მართალია, ტაიმის ბოლოს სტუმრებმა მოახერხეს საპასუხო გოლის გატანა (ჰილი), მაგრამ მეორე ტაიმში იუგოსლაველთა საუკეთესო თავდამსხმელმა პანჩევმა „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა (48-ე, 61-ე და 65-ე წუთებზე) — 4:1.

1 მაისს IV ჯგუფში ორი მატჩი ჩატარდება: იუგოსლავია — დანია, ჩრდილოეთ ირლანდია — ფარერის კუნძულები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 8 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 3 |
| ფარერები | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 2 |
| ჩრდ.ირლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### V ჯგუფი

**ბელგია — უელსი 1:1**

ბრიუსელში მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში, 48-ე წუთზე ბელგიელი დეგრისის სოლო გარღვევამ წარმატება მოუტანა მასპინძლებს, მაგრამ 59-ე წუთზე ბოდინ-რაშ-სონდერსის კომბინაციის შემდეგ ინგლისის „დერბი ქაუნთის“ თავდამსხმელმა სონდერსმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1

ჯგუფის ლიდერი ისევ უელსის ნაკრებია, თუმცა უნდა აღინიშნოს,რომ მესამე ადგილზე მყოფ გერმანელებს ჯერ ქულა არ დაუკარგავთ.

1 მაისს ჰანოვერში ჩატარდება მატჩი, რომელიც გარკვეულ სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში; გერმანია — ბელგია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 2 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### VII ჯგუფი

**ინგლისი — ირლანდია 1:1**

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. „უემბლის“ ტრიბუნები გადაჭედილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიით შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი გადაიცემოდა. ბილეთების გაყიდვით მიღებულმა მოგებამ „უემბლის“ ისტორიაში სარეკორდო თანხა შეადგინა — თითქმის ერთნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი, ხოლო გადამყიდველები სტადიონის მისადგომებთან ბილეთებს ათმაგ ფასად ჰყიდდნენ. შეხვედრამ საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა და გაამართლა მაყურებელთა იმედები. მე-9 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს — ირლანდიელი მცველების მიერ მოგერიებული ბურთი საჯარიმო მოედნის გარეთ მყოფმა დიქსონმა მიიღო და შეუჩერებლად დაარტყა კარში, ბურთი ირლანდიელ სტონტონს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მეკარე ბონერის კარში აღმოჩნდა — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ ირლანდიელები გააქტიურდნენ და 15 წუთის განმავლობაში ინგლისელების კარს არ მოსცილებიან. შეტევამ სტუმრებს წარმატება მოუტანა — 28-ე წუთზე ინგლისის ნაკრების მეკარის სიმენისა და მცველის ადამსის შეუთანხმებლობით ისარგებლა ნაილ ქუინმა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1

ორივე გუნდის მცდელობის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა. მატჩი, ისევე როგორც ამ გუნდების პირველი შეხვედრა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

17 აპრილს პოლონეთის ნაკრები თურქეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 7-2 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფანჯარა

**სპორტი, ბუნებრივია, თავისთავად, ცხოვრებისგან გამიჯნულად არ არსებობს და ვერც იარსებებს. ალბათ, ისიც უდავოა, რომ ყოველივე, რაც გარშემო ხდება, ასე თუ ისე, გავლენას სპორტზეც ახდენს. ამიტომ გადავწყვიტეთ „გავხსნა ფანჯარა" და ამ რუბრიკით პერიოდულად „არასპორტულ" თემებსაც შევეხებოდით.**

# დაუძლეველი არაფერია

ჩვენი თანამოსაუბრე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქირურგი გელა ჩაჩიბაია საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალურუზრუნველყოფის სამინისტროს „კატასტროფის მედიცინის" სამედიცინო-სამაშველო სამსახურის „მედეას" მთავარი ექიმია. ეს სამსახური შედგება პროფესიონალი ექიმებისა და მაშველებისაგან, რომლებიც არიან, ან წარსულში იყვნენ სპორტსმენები. მათი მთავარი მიზანია ექსტრემალური სიტუაციების დროს იმუშაონ უშუალოდ კატასტროფის კერაში ან მის ახლოს, ე. წ. „ჩემზე და ჩემგან" პრინციპით. დაზარალებულთ ადგილზევე უწევენ პირველ კვალიფიციურ დახმარებას და ჩვენების მიხედვით ახდენენ მათ ევაკუაციას შემდგომი მკურნალობისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა სამკურნალო ცენტრში. ეს ამ ტიპის ერთადერთი სამსახურია საქართველოში.

**— როგორ შეიქმნა თქვენი სამსახური?**

— ბოლო წლებში საქართველოში მომხდარმა კატასტროფებმა აშკარად დაგვანახა დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალური სამსახურის შექმნის აუცილებლობა. ასეთი სამსახური ყველა ცივილიზებულ



ქვეყანაში ათეული წლებია არსებობს. ისინი გაერთიანებული არიან კატასტროფის მედიცინის ეგიდით, რომლის შტაბ-ბინაც იტალიაშია. ჩვენთან კი, საქართველოში, და საერთოდ საბჭოთა კავშირში, ასეთი რამ არ არსებობდა.

ამ წლინახევრის წინ აფხაზეთში მომხდარ ძოვლენებთან დაკავშირებით ექიმების ჯგუფთან ერთად სოხუმში გავემგზავრე. სწორედ იქ დამებადა სპეციალური მობილური სამსახურის შექმნის იდეა. მას უნდა ჰყოლოდა მომზადებული, აუცილებელი ტექნიკით, ტრანსპორტითა და იარაღით აღჭურვილი ჯგუფი, რომერიც ადგილზე გაუწევდა დახმარებას დაზარალებულთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. საბედნიეროდ, ჩემი აზრი დაემთხვა სამინისტროს აზრს. გადაწყდა, რომ შექმნილიყო ეს სამსახური და მას სათავეში მე ჩავდგომოდი.

სამაჩაბლოში შეიარაღებული შეტაკებები რომ დაიწყო, სამინისტროდან დაგვირეკეს და გვკითხეს, შევძლებდით იქ წასვლას თუ არა. ჩვენ საომარი დანიშნულების ჯგუფი არა ვართ, მაგრამ დაუფიქრებლად დავთანხმდით.

**— როდის გაემგზავრეთ სამაჩაბლოში?**

— ათ იანვარს. განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი დღეები. გამუდმებით მოჰყავდათ ქართული მილიციის დაჭრილი თანამშრომლები. ღისით ბატონი გივი კვანტალიანის სპეციალური ნებართვით, ექიმთა ერთი ჯგუფი ქალაქში შევდიოდით და სროლის დროსაც კი ბარიკადებზევე ვუწევდით დაჭრილებს პირველ სამედიცინო დახმარებას. ეს საშინელება იყო, მაგრამ იმდენად გვწამდა ჩვენი იქ ყოფნის აუცილებლობა, სროლასაც კი აღარ ვაქცევდით ყურადღებას.

**— ოპერაციებს ადგილზევე აკეთებდით?**

— ტყვიაში ყოფნის პერიოდში სულ ოთხმოცამდე სხვადასხვა სირთულის ოპერაცია ჩავატარეთ. დაგვჭირდა რთული ოპერაციებიც და რეანიმაციული ღონისძიებებიც. დიახ, იყო მძიმე კონტინგენტიც, მაგრამ ჩვენამდე მოსულ ავადმყოფთაგან არც ერთი არ გარდაცვლილა. შემდეგ ამ ავადმყოფებს გორის ან თბილისის სტაციონარებში ვგზავნიდით.

**— ძირითადად რა სახის ჭრილობები გხვდებოდათ?**

— უმეტესად იყო ტყვიით მიყენებული ჭრილობები: თვითნაკეთი, ცენტრისკენულძალადაკარგული ტყვიებით. ისინი როგორც გავიგეთ, ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში მზადდებოდა. სხეულთან შეხების დროს ასეთი ტყვია ფეთქდება და ვიბრაციული ხდება, ამიტომ გამომავალი ჭრილობა თითქმის ყოველთვის ატიპიური იყო.

**— სხვა რეგიონში თუ ყოფილხართ?**

— როცა ცხინვალში მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა, იქიდან წამოვედით, 25 თებერვალს კი ქარელის რაიონში გავემგზავრეთ. სოფელ ავნევში დახოცეს ქართველი ახალგაზრდები. ჩვენი ჰოსპიტალი სოფელ დირბში გაიშალა. იქიდან ავედით ავნევში ოსური სოფლების გავლით, მივუსამძიმრეთ დაღუპულთა ოჯახებს, მოსახლეობას მედიკამენტები დავურიგეთ. უკან დაბრუნებისას ოსურ სოფელში გავჩერდით. წამლები მათაც დავურიგეთ. ვეუბნებოდით, რომ ექიმები ვართ და დასახმარებლად ჩავედით, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მხრიდან მაინც იგრძნობოდა ზიზღი. დიახ, უნდობლობა კი არა, ზიზღი.

**— ჩანს, მედიკამენტები არ გაკლიათ.**

— ჩვენი ავტონომიური მუშაობისთვის მედიკამენტების ნაკლებობა არ გვიგრძვნია. რაც შეეხება ასეთ ექსტრემალურ მდგომარეობას, დახმარების გარეშე ვერ გავწვდებოდით. ასეთი დახმარება აღმოგვიჩინა მარნეულის აფთიაქის გამგემ მამუკა გორგოძემ, რომელმაც ერთი მანქანა მედიკამენტები გამოგვიგზავნა.

ასეთივე დახმარება მივიღეთ ზუგდიდიდან, ყვარლიდან. აქვე უნდა დავასახელო ქარელის რაიონის მილიციის უფროსი ჯუდი დარსაძე, რომელმაც სპეციალური დაცვა გამოგვიყო. დიდ ყურადღებას იჩენდა გორისა და ქარელის რაიონის სამედიცინო პერსონალი.

**— იქაური ქართველობა როგორ გხვდებოდათ?**

— საერთოდ იქ ქართველობა დათრგუნვილია ოსების მეზობლობით. მაგალითად, წმიდა ქართულ სოფლებშიც კი ავადმყოფობის ისტორია რუსულ ენაზეა შედგენილი. ქართველი თანამდებობაზე არ ინიშნება, სკოლაში რუსული სწავლებაა, ქართულ კლასებშიც კი რუსულად ასწავლიან. ახლა კიდევ უფრო გართულდა საქმე, როცა ოსები დიდ მხარდაჭერას გრძნობენ საბჭოთა არმიისგან. ისტორია ყველას თავისას მიუზღავს, მაგრამ დღეს?..

**— რა გამოსავალს ხედავთ?**

— სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე გამოსავალს ვერ ვხედავ. ოსები ჩვენს მიმართ ძალიან მტრულად არიან განწყობილი. ამან, სამწუხაროდ, მასობრივი ხასიათი მიიღო. „სარბიელი" სპორტული გაზეთია და ამიტომ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის გურამ ცხოვრებოვის მაგალითს მოვიყვან. მასთან მე პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა და ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია რომ თავის ძმასთან ერთად იგი ახლა ქართველების წინაალმდეგ ილაშქრებს.

მშვიდობის აღდგენის უმთავრესი წინაპირობა, ჩემი ღრმა რწმენით, საბჭოთა ჯარის ამ რეგიონიდან გაყვანაა. მანამდე ამ საქმის მოგვარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— თქვენ გურამ ცხოვრებოვზე ბრძანეთ, მაგრამ საპირისპირო მაგალითიც ხომ გვაქვს? ოსი ეროვნების სპორტსმენთა გამგზავრება...**

— ვხვდები, რასაც მეუბნებით. ამ სპორტსმენებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, ვფიქრობ, მათი გამგზავრება სამაჩაბლოში იქაურ ოსებთან შეხვედრად ნავგიანევია და იმთავითვე განწირული აქცია იყო. ისეთ ავტორიტეტიან სპორტსმენებს, როგორებიც ვლადიმერ გუცაევი ან ზაურ კალოევი არიან, გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ. ამ აქციას კი არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

**— აბა, რა უნდა ელონათ?**

— სპორტსმენებიც და არასპორტსმენებიც ჩვენს გვერდში უნდა მდგარიყვნენ, ისევე როგორც ყველა ადამიანი, ვისაც ქართველებთან ერთად მშვიდობიანი ცხოვრება უნდა. თავიანთი პოზიცია რეალური მხარდაჭერით უნდა გამოეხატათ. მომავალში თავისუფალი საქართველოს მოქალაქე მხოლოდ ის უნდა გახდეს, ვისაც მისთვის მშვიდობა და სიკეთე სურს.

**— დაბოლოს, როგორ გესახებათ თქვენი სამსახურის პერსპექტივა?**

— ჩვენი დიდი მეცადინეობის შემდეგ ბევრმა ირწმუნა ამ სამსახურის აუცილებლობა და გულთან მიიტანა მისი პრობლემები. ამის შედეგად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დიღომ–გლდანის შემაერთებელ მაგისტრალზე გამოგვიყვეს ტერიტორია ბაზის მშენებლობისთვის. მაგრამ დრო არ ითმენს! საჭიროა ამ საკითხისადმი ახლებური, სწრაფი და ოპერატიული მიდგომა, რათა კომპლექსი დროულად ჩადგეს მწყობრში. ამაში ჩვენი მთავრობის თანადგომის დიდი იმედი გვაქვს. ჩვენთვის აუცილებელია საკუთარი სტაციონარი, რომელიც, ამავე დროს, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ბაზაც იქნება. მოგეხსენებათ, კატასტროფის მედიცინა ახალი დარგია ჩვენში და, ამდენად, მას სერიოზული მიდგომა სჭირდება. ჩვენთვის აუცილებელია, რომ თანამშრომელთა სოციალური დაზღვევის საკითხიც დაუყოვნებლივ გადაწყდეს. ამას თვით ჩვენი სამუშაოს სპეციფიკა განაპირობებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებს, მათთან თანამშრომლობას, რასაც ვალუტაც დასჭირდება. ამისთვის, თავის მხრივ, საჭიროა სპონსორების პოვნა... ერთი სიტყვით, უამრავი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი, მაგრამ დაუძლეველი არაფერია.

• ესაუბრა ზურაბ ფოცხვერია.

# ტკივილი

როცა ამერიკამ და მისმა მოკავშირეებმა ,სადამ ჰუსეინს ომი გამოუცხადეს, ერაყის დიქტატორმა, საპასუხოდ ისრაელის დაბომბვა დაიწყო. ომში მას სურდა მთელი მსოფლიო ჩაეთრია.

ამ დროს, ნიუ-იორკ იერუსალიმის ავიარეისებზე ბილეთი მწვავე დეფიციტი გახდა. ამერიკაში მცხოვრები ათასობით ებრაელი ისრაელისკენ დაიძრა.

თითქმის დაცარიელდა იმ დღეებში ნიუ-იორკის აეროპორტები. მხოლოდ ისრაელის რეისებზე იდგა დღისით და ღამით უსასრულოდ გრძელი რიგები... სამშობლოს დასაცავად დაიძრნენ არა მარტო ებრაელი ბიჭები და გოგოები, მათი მამები, დედები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბებიები და ბაბუებიც კი. ტოვებდნენ ვილებს, ქონებას, ბიზნესს და ისრაელის დასაცავად მიემგზავრებოდნენ.

ჩამაფიქრა ებრაელთა ასეთმა დიდსულოვნებამ. ჩამაფიქრა, ვინაიდან იმ წუთებში უკეთეს დღეში არც საქართველო იყო. ისრაელს თუ სადამ ჰუსეინი ემუქრებოდა რუსული იარაღით, საქართველოს გორბაჩოვი უღერებდა სისხლიან მუშტს. სპარსეთის ყურეში ომის გაჩაღების ერთ-ერთი მომხრე და მხარდამჭერი პირდაპირ თუ ირიბად ხომ რუსეთის იმპერიაც იყო. ამ ომის ფონზე ხომ იმპერია ჩუმ-ჩუმად გაუსწორდებოდა თავის ფარგლებში მცხოვრებ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს. ასე რომ, არც საქართველოს დააყრიდა ხეირს ჰუსეინის ამბიციები.

მიუხედავად ომის საშიშროებისა, ისრაელში მაღაზიები სავსე იყო სასმელსაჭმელით და არც ენერგეტიკული ბლოკადით ემუქრებოდა ებრაელებს ვინმე. თუ ძალიან გაუჭირდებოდათ, უმალ ამერიკა ამოუდგებოდათ მხარში.

ჩვენ ვისი იმედი უნდა გვქონოდა? ვინ მოგვეხედავდა? ვის გავახსენდებოდით? ჩვენი თავის პატრონები მხოლოდ ჩვენვე ვართ. ვიდრე ამას კარგად არ გავიზიარებთ, ვერ გავილვიძებთ, ხეირიანად ვერ გამოვეფხიზლდებით.

ჰუსეინს არ მიუწვდებოდა ისრაელის ენერგეტიკულ რესურსებზე ხელი, გორბაჩოვს კი დღესაც ხელთ უპყრია ჩვენი ენერგორესურსების ჩამრთველი და საკუთარი შეხედულებისამებრ გვაწამებს, როგორც ბოროტი დევი, „ყლუპ-ყლუპად" გვაწვდის ენერგიას... ასე რომ, არც საქართველო იყო იმ წუთებში უკეთეს მდგომარეობაში... ებრაელები სამშობლოში მიემგზავრებოდნენ, მე კი ნიუ-იორკში ვიჯექი. ალბათ ამან უფრო დააჩქარა კონტაქტის შეწყვეტა და ჩემი შინ დაბრუნება.

ისრაელს, საკმაოდ ძლიერ და კომპიუტერიზებულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად, საგანგებოდ გაწვრთნილი, მოიერიშეთა ასეულიც ჰყავს, ე. წ. „კომანდოსი" მშვიდობიან ჟამს, ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული ამ ასეულის წევრები სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობენ, ზოგი ინჟინერია, ზოგი პედაგოგი, ზოგი მძღოლი...

ეს ასეული მზად არის ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეასრულოს ისრაელის სარდლობის ნებისმიერი დავალება.

ისე, არც ჩვენ გვაწყენდა ასეთი ასეული.

დიახ, ძმებო და დებო, ეს ის „ყიურყიური ბიჭები" არიან, სანადიროდ ყოფნისას, კურდღლისგან შეშინებულები ხეზე რომ ავიდნენ.

კურდღელს კი არა, კაციჭამია ჰუსეინის (თუ გორბაჩოვის) რაკეტებს და ტანკებს არ უშინდებიან, ნებისმიერ დროს მზად არიან სიცოცხლე გაიღონ ისრაელისთვის. ორი ათასი წელი გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და თურმე კიდევ არ ვიცნობთ კარგად ჩვენს ძმებს.

დიახ, ებრაელებმა შეძლეს დაებრუნებინათ თავიანთი ისტორიული სამშობლო და საჭიროებისამებრ მტრისაგან დაეცვათ კიდეც. ჩვენ აღგვაფრთოვანებს ნებისმიერი ერის პატრიოტობა. და დღეს, როცა ისტორიამ ქართველთა წინაშე კიდევ ერთხელ (ვინ იცის, მერამდენედ) დააყენა ყოფნაარყოფნის საკითხი, უნებურად ვფიქრობ: იქნებ ჯობდა მერმისისთვის გადაგვედო გაშლილ სუფრასთან ღრეობა და ენამჭევრობა? იქნებ საქმისთვის მიგვეხედა? ან იქნებ გადაგვეხედა ერის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა რეალური რიგებისათვის — ვინ ვართ, რამდენი ვართ? ანდა ვართ კი მზად უკლებლივ ყველანი, ამას ხაზს ვუსვამ, უკლებლივ ყველანი, უყოყმანოდ მივატოვოთ სახლ-კარი, ქონება, ბიზნესი და შეტყობინების ბარათის მიღებამდე ებრაელებივით ჩვენი სურვილით ჩავდგეთ სამშობლოს დამცველთა რიგებში?

ვფიქრობ, რომ არა ვართ მზად!

ნუ გაიკვირვებთ ამ სიტყვებს. არა ვართ მზად, ვიდრე შეიარაღებული ქართველი ბინაში ეჭრება მეორე ქართველს და ძარცვავს, ეს მაშინ, როცა ქართველობა სამაჩაბლოში სისხლისგან იცლება; არა ვართ მზად, ვიდრე არიან ქართველები, რომლებიც უკვე „უკვარაჯინებენ" თავიანთ შვილებს ავადმყოფობის ცნობას ქართულ გვარდიაში გაწვევისაგან თავის ასარიდებლად. ან ის ქართველი ექიმი ნეტა რა ჰკუაზეა, ვინც ასეთ ცნობას გასცემს?

არა ვართ მზად, ვიდრე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვა ქალაქების ქუჩებსა და უბნებში „ჯოგებად" დაეხეტებიან 18-20 წლის ჯან-ღონით სავსე უსაქმური ქართველი ჭაბუკები.

არა ვართ მზად, ვიდრე ვიზების სამმართველოს კართან უცხოეთში დროებით თუ სამუდამოდ გამგზავრების მსურველ ქართველთა გრძელი რიგები დგას. თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. ქართული კულტურის პროპაგანდისთვის ან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად რომ არ მივემგზავრებით, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება...

არ ვართ მზად, ვიდრე თბილისის ქუჩებს ქურთები გვიან, ხოლო თბილისის ბაზრებში თათრები ვაჭრობენ მწვანილით; ვიდრე ქართველები ხელს არ აიღებენ რესტორნებზე და სავარჯიშო დარბაზებსა და სარბენ ბილიკებს არ მიაშურებენ, ვიდრე ქართველი ექსტრასენსები სამაჩაბლოდან ლტოლვილ ქართველებს ფულს ახდევინებენ მკურნალობაში, ვიდრე ქართველს ქართველის სისხლი სწყურია და ოცი ლიტრი ბენზინისთვის მზად არის სასიკვდილოდ გაიმეტოს!

ბევრს ალბათ გულს ატკენს ჩემი სიტყვები თუ აღსარება, მაგრამ ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ეს ტკივილი თუნდაც ხუთ ქართველს მაინც გამოაფხიზლებს.

თამაზ ჯეიშვილი

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.80.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-98.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშტარიას ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალელაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟღენტი.